

სამურგაყანოელი ბუღბული

მონებები

კონსტანტინე (კოტე) ჩიკვატიაზე

თბილისი, 2010

YAK-784.4(479.22)(092)+821.353.1-94. ქ-24




ახსნეთის სულელებისა
და კულტურის ცენტრი

შემდგენელი რაისა ქარაია
რედაქტორები რუსუდან წურწუმია
დალი ჯონჯუა
დიზაინერი დალი ჯვარსეიშვილი

© რაისა ქარაია, 2010 წ.

ISBN 978-9941-0-2951-6

ვინც სოფლის ღალას სრულად გაიღო
თემის სატკივარს მოდებულ გულით,
მათში პირველი თუ ვინმე იყო -
კოტე - მხედარი, კოტე - ზულბული
გურამ სეჭანია



ეს პატარა წიგნი ეძღვნება აქამდე ფართო საზოგადოებისათვის უცნობ, თავის კუთხეში „სამურზაყანოელ ბულბულად“ წოდებულ ნიჭიერ კაცს, რომელმაც თავისი ცხოვრება ისტორიული ქართველისათვის, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს მიუძღვნა – მისთვის სიმღერა და ცხენზე ჯირითი ერთნაირად ძვირფასი იყო: სიმღერაში თავისი სულის სილამაზეს ავლენდა, ხოლო ჯირითში – მხედრულ სინაუქესა და ვაჟკაცურ ბუნებას...

თუმცა, როგორც მისი თანამედროვეების მონათხრობიდან ირკვევა, კოტე ჩიკვატია, უპირველეს ყოვლისა, მაინც მომღერალი იყო, თავისი კუთხისა და სრულიად საქართველოს ხალხური სიმღერის შესანიშნავი მცოდნე. მისთვის ძვირფასი იყო ტრადიცია და ყველაფერი ტრადიციული – ოჯახი, მეგობარი, წეს-ჩვეულებები... იყო დარბაისელი, ღირსეული, პატივს სცემდა ადამიანს და ასეთსავე პატივისცემას მიაგებდნენ მას ირგვლივ მყოფნი.

წიგნში შეხვედებით სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოგონებებს – მათ შორისაა ხელოვანიცა და მეცნიერიც, საზოგადო მოღვაწე თუ უბრალოდ, ოჯახის მეგობარი და კარის მეზობელი. მათ აერთიანებთ მთავარი – ისინი ცდილობენ გულწრფელად გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ბატონი კოტესადმი და მკითხველის წინაშე გააცოცხლონ ჩვენი ეროვნული კულტურის ერთი უანგარო და ერთგული მსახურის სახე.

ვფიქრობ, მკითხველი დააფასებს ამ გულწრფელობას და სიამოვნებით გაეცნობა წიგნში თავმოყრილ მოგონებებს.

რუსუდან წურწუშია

საუკუნეებიდან წამოსული წინაპართა ხმები

1970-იან წლებში საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში მუსიკალურ რედაქტორად ვმუშაობდი. გალის გუნდზე მუსიკალური ფილმის გადაღება დაიგეგმა, ამიტომ საჭირო გახდა გუნდის მოსმენა, რეპერტუარის შერჩევა და ფონოგრამების ჩანერა.

ამ საქმის მოსაგვარებლად გალში გაემგზავრა ტელევიზიის ხალხურ გადაცემათა რედაქციის მთავარი რედაქტორი ბატონი სოლომონ ლაფაური, რომელმაც თან წამიყვანა.

ადრიანი დილა იყო, როცა ჩვენი მატარებელი რკინიგზის სადგურში გაჩერდა. დაგვხვდნენ გალის რაიკომის რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი და კულტურის განყოფილების გამგე.

გუნდის მოსმენა 12 საათზე იყო დანიშნული, ჩვენ დათქმულ დროს კულტურის სახლში მივედი. სცენაზე 80-ზე მეტი ქალი და კაცი იდგა. გუნდს ცნობილი ლოტბარი აკაკი ხარებავა ხელმძღვანელობდა. დაიწყო მოსმენა. ეს იყო იშვიათი გუნდი, შესანიშნავი მეჩონგურე ქალებითა და ბრწყინვალე სოლისტებით. გუნდს მდიდარი რეპერტუარი ჰქონდა. ძირითადად მეგრულ სიმღერებს მღეროდნენ, მაგრამ აფხაზურ სიმღერებსაც მშვენივრად ასრულებდნენ.

მომღერალთა გუნდში რამდენიმე სოლისტი გამოირჩეოდა, მათ შორის განსაკუთრებით მოგვენონა ბ-ნი კოტე ჩიკვატია. იგი 65-70 წლის თუ იქნებოდა, მაგრამ ხმა შესანიშნავად უყვდურდა. გამაკვირვა მისი ხმის დიაპაზონმა, ბ-ნი კოტე თავისუფლად

მღეროდა როგორც დამწყებს, ასევე მოძახილსა და ბანს.

გალში ორი კვირა დავრჩით, გუნდის სიმღერები ჩავინერეთ კინოგადაღებისთვის. ამ ხნის განმავლობაში მომღერალთა გუნდის ნევრები ოჯახებში გვეპატიუებოდნენ. ერთმანეთს გადაება არაჩვეულებრივი საღამოები. დღე ჩანერა მიმდინარეობდა, საღამოს სუფრასთან ვისმენდით უნიკალურ სიმღერებს. დღემდე სიამოვნებით ვიგონებ იმ შეხვედრებს.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა კოტე ჩიკვატიას ოჯახში სტუმრობა. ჩვენთან ერთად მოვიდნენ აკაკი ხარებავა და კიდევ ძველი თაობის რამდენიმე მომღერალი.

ბატონი კოტე ჭიშკარში შეგვეგება, ღიმილიანი კაცი იყო, კეთილი, დარბაისელი, თავმდაბალი. ეზოში რომ შევედით, აკაკი ხარებავამ „კუჩხა ბედინერი“ წამოიწყო, კოტემ მოძახილი შეაშველა, დანარჩენებმა ბანი დააგუგუნეს და ასე სიმღერ-სიმღერით შევედით ოჯახში. მასპინძელმა სუფრასთან მიგვიწვია. თამადად თვითონ დადგა. პირველი სადღეგრძელო შესვა და „გეფშვათ ღვინი ხარათია“ წამოიწყო. მეგობრებიც აყვნენ და შესანიშნავად შეასრულეს ეს ძველებური სუფრული სიმღერა. სუფრა ძველი ტრადიციის მიხედვით წარიმართა, ყოველ სადღეგრძელოს თავისი შესატყვისი სიმღერა მოსდევდა. ბატონი კოტე შესანიშნავი თამადა იყო, ენაწყლიანი, იუმორით სავსე, ბევრი გვაცინა და ბევრიც საინტერესო ამბავი გვიამბო. სიმღერებს უმეტესად თვითონ იწყებდა. შესრულდა „ჩელა“, „ვახტანგური“, „მიორს ფაცხა“, „კუნტა ბედინერა“, „ვოჯანუდი ჩქიმ ჯარგვალს“, „სიქოულ ბატა“ და მრავალი სხვა.

კოტეს ლამაზი ხმა ჰქონდა, სიმღერის დროს თავისუფლად იმპროვიზირებდა და ახალ-ახალ ვარიანტებს ქმნიდა, იგი ნამდვილად ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული მომღერალი იყო, თავის მეგობრებთან კარგად იყო შემღერებული და

გასაოცარი ტექნიკითა და განსაკუთრებული სასიმღერო მანერით ასრულებდა უძველეს მეგრულ სიმღერებს. იმ ღამეს ჩემთვის ბევრი უცნობი სიმღერა მოვისმინე, რომელიც დღემდე არ ამოდის ჩემი მეხსიერებიდან.

ვისაც ფილმი „კოლხური სიუიტი“ უნახავს, ალბათ კარგად დაამახსოვრდებოდა კოტე ჩიკვატიას სახე, რომელიც ამ ფილმში სახასიათო სიმღერებს ასრულებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია „ჩელა“, რომელსაც ურმის კოფოზე შემომჯდარი აკაკი ხარებავა ასრულებს, ხოლო მას არაჩვეულებრივ პარტნიორობას უწევენ ლია აბაშიძე და კოტე ჩიკვატია.

კოტე ჩიკვატიას და მის მეგობრებს რომ ვუსმენდი, ვრწმუნდებოდი, რომ ისინი მართლაც განსაკუთრებული მომღერლები იყვნენ, მათი „ბებრული“ ნამღერი საუკუნეებიდან წამოსულ წინაპართა ხმები იყო, უცნაური და განუმეორებელი.

ბატონ კოტესთან ჩემი თითოეული შეხვედრა განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩეოდა, რადგან იგი მეტად მომხიბლავი პიროვნება გახლდათ. მისი ნათელი სახე სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. კოტე ჩიკვატია კარგი მომღერალი და კარგი კაცი იყო.

ღმერთმა აცხონოს.

ანზორ ერქომაიშვილი

მე

ჩიკვატიათა გვარის ისტორიიდან¹

ჩიკვატიათა გვარ-სახელის ეტიმოლოგია აქამდე გამოცემულ არც-ერთ მეცნიერულ (ლინგვისტურ) შრომაში არ ყოფილა საფუძვლიანად განხილული.

სავარაუდოდ, ამ გვარს ფუძე საკუთარი სახელიდან მოუდის. „ჩიკვა“ — კაცის პირსახელი ყოფილა ძველ საქართველოში [ალ. ლლონტი, „ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი)“, თბილისი, 1986]. ჩიკვატიათა საგვარეულოს ერთი ნაწილი, წინაპართა მოგონებიდან გამომდინარე, ამბობს, რომ ოდესღაც, მათ ჩიკვაიძეთა გვარსახელი უტარებიათ.

ქართულ სიგელ-გუჯრებში ჩიკვატიათა გვარი XVIII საუკუნიდან იხსენიება — 1791 წლის 3 ივლისით დათარიღებულ ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანის წყალობის წიგნში მოხსენიებულია სოფ ორსანტიას მოსახლე კავაილა ჩიკვატიას ერთი კომლი². XIX საუკუნეში (1812-1832 წწ) ტუმუია ჩიკვატია მოხსენიებულია გრიგოლ დადიანის ქალიშვილის, ლევან V დადიანის დის, მანუჩარ შარვაშიძის თანამეცხედრის, ქეთევან დადიანის მიერ ცაიშის ეკლესიისათვის ბოძებული ყმა-მამულის შეწირულობის წიგნის გამრიგედ და შუამდგომელად³. ეს თანამდებობა მხოლოდ ოდიშის მთავრის კართან დაახლოებული თავადაზნაურთა ფენის წარმომადგენელს თუ შეეძლო

დაეკავებინა. ტუმუია ჩიკვატია, უდავოდ, სამთავრო აზნაურთა ფენას მიეკუთვნებოდა, ამიტომაც რგებია შესაფერისი პატივი.

ოდიშიდან აფხაზეთ-სამურზაყანოს სოფლებში სამოსახლოდ ჩიკვატიათა ნაწილი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მე-2 ნახევარში უნდა გადასულიყო. ამის დასტურია 1865 წლით დათარიღებული სამურზაყანოს მოსახლე გლეხების მებატონეთადმი არსებულ ვალდებულებათა ნუსხა, რომელიც სოფლების მიხედვითაა დალაგებული. იმ თავიდან, რომელიც სოფელ ნაბაკევს (გალის რაიონი) შეეხება, ვიგებთ:

„...სოფელი ნაბაკევი. აზნაურ ჩიკვატიევთა (ჩიკვატია) გლეხები მუშაობენ ჩიკვატიევთან (ჩიკვატია), როგორც ეკლესიის წინამძღვართან — 4 დღე...“

1904 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის დავთრის მიხედვით, ორსანტიას (ზუგდიდის რაიონი) მოსახლე ჩიკვატიები აზნაურთა ფენას მიეკუთვნება. უკვე XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან მრავლადაა შემონახული სხვადასხვა ხასიათის საბუთი, რომელშიც ჩიკვატიები უმეტესწილად აზნაურის ხარისხში არიან მოხსენიებულნი და ჩანან „ვითარცა ერთგულნი და მისანდონი სამეგრელოს მთავართა, ეპისკოპოსთა, თავადთა, აზნაურთა და უაზნოთა“.


სწორედ ამ შესანიშნავი გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ბატონი კონსტანტინე (კოტე) ჩიკვატია.

თბილისი

1 შედგენილია გენეალოგიური კვლევის ცენტრის „არიან-ქართლის“ მასალებზე დაყრდნობით

2 ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის „დადიანის ფონდი“, საბუთი №17

3 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-12509



ცოტა რამ ბიოგრაფიიდან

კონსტანტინე (კოტე) ჩიკვატია დაიბადა 1907 წლის 15 ივნისს სოფ. ორსანტიაში (ზუგდიდის რაიონი), აზნაურის ოჯახში. ის პეტრე ჩიკვატიასა და ნატაშა გვათუას ერთადერთი შვილი იყო. პირველადი განათლება მღვდელ კალისტრატე ცხაკაიასთან მიიღო, შემდეგ სწავლობდა გალის საეკლესიო-სამრევლო სამასწავლებლო სასწავლებელში. 1929 წელს დაამთავრა გალის პირველი საშუალო სკოლა, რომელიც ზემოთ ხსენებული სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა. გალში იგი ონისიმე და კოსტია ჩიკვატიების ოჯახში იზრდებოდა.

კოტეს მამა ძალიან ახალგაზრდა გარდაეცვალა და ოჯახური მდგომარეობის გამო უმაღლესი განათლება არ მიუღია. მიუხედავად ამისა, მას ყოველთვის ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა გალში: მუშაობდა ხის დამამუშავებელი ქარხნის (1937-47), ქალაქის საბჭოს კომუნალური მეურნეობის კომბინატისა (1948-49) და გალის რაიონის ყველ-კარაქმრეწვის დირექტორად (1950-52). ომის დროს მსახურობდა ჯარში, კავკასიის დაცვის ბატალიონში. 50-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში კვების მრეწველობის სისტემას ხელმძღვანელობდა ვინმე ბერია, რომელსაც 1952 წელს დანაკლისი აღმოუჩინეს. მან დაპატიმრებას გაქცევით აარიდა თავი და სანამ თვითონ არ ჩაბარდა სამართალდამცავ ორგანოებს, აფხაზეთის რაიონებში ამ სისტემაში მომუშავე ყველა ხელმძღვანელი, მათ შორის, კოტეც დააპატიმრეს. ცხრათვიანი პატიმრობის შემდეგ იგი უდანაშაულოდ ცნეს და აღადგინეს თავის უფლებებში. 1954-

58 წლებში იგი კრამიტის ქარხანაში საამქროს უფროსად მუშაობდა, ხოლო 50-იანი წლების ბოლოს ხელი მოჰკიდა გალში საცხენოსნო სპორტის განვითარების საქმეს და ჩამოაყალიბა საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტული სკოლა, რომლის დირექტორად მან 1977 წლამდე იმუშავა.

კოტე ჩიკვატიამ დიდი ღვაწლი დასდო ცხენოსნობის იმ ეროვნული სახეობების განვითარებას, რომელთა ფესვები საქართველოს ისტორიის სიღრმეებში იკარგება. თავის სკოლაში მან ეს საუკუნოვანი ტრადიცია აღადგინა და გამოზარდა არაერთი ცნობილი სპორტის ოსტატი, რომელთაც მრავალგზის წარმატებით დაიცვეს საკუთარი რაიონისა და საქართველოს ღირსება საკავშირო შეჯიბრებებში.

მიუხედავად ამისა, კოტეს არასოდეს უღალატია თავისი ნამდვილი მოწოდებისათვის – იგი სახელმწიფო სამსახურს კარგად უთავსებდა ხელოვნების ერთგულებას და 1931 წლიდან ერთგულად ემსახურებოდა ეროვნულ ხალხურ სიმღერას. კინი გეგეჭკორთან, ლეონტი შონიასთან, კაპიტონ შენგელიასთან, ბორის აქუბარდიასთან, მეგო ხორავასთან და სხვებთან ერთად კოტე ჩიკვატია გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო რაიონული ანსამბლის დამაარსებელი (1931) იყო; კინი გეგეჭკორის შემდეგ კი (1938) აკაკი ხარებავასთან ერთად – მისი ხელმძღვანელი, წამყვანი სოლისტი და სიცოცხლის ბოლომდე მისი მოჭირნახულე.

ომისა და შრომის ვეტერანი, იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენებით; მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „სამამულო ომის ოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით“ და სხვ. ამასთან, სხვადასხვა დროს ხელოვნებასა და სპორტში მიღწეული წარმატებებისათვის მას მიღებული ჰქონდა უამრავი სიგელი და დიპლომი. მისი ღვაწლი ღირსეულად დაფასდა — 1958 წელს კონატანტინე ჩიკვატიას აფხაზეთის დამსახურებული არტისტის ნოდება მიენიჭა.

1980 წლის ნოემბერში გალელეებმა, უკვე ავადმყოფს (ინფა-

რქტი ჰქონდა გადატანილი), საიუბილეო საღამო მოუწყვეს. სინანულით ამბობდა — იციან, 75 წლამდე ვერ მივალწევ და ამიტომ მიხდიან იუბილეს 73 წლისასო. მართლაც, ვერ მიაღწია. ორი თვის შემდეგ, 1981 წლის 16 იანვარს გარდაიცვალა თბილისში, კარდიოლოგიის ინსტიტუტის სავადმყოფოში.

სპორტმენსა და ხელოვან კაცს სულაც არ ეტყობოდა ასაკი. ისე განერიდა ამქვეყნიურ ცხოვრებას, თმაში ქალარაც არ გარევიან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და გალის რაიონის გამგეობამ, უკვე დევნილობაში, 1997 წელს თბილისში, კინოს სახლში მოაწყო ჭეშმარიტი მამულიშვილის, ქართული ხალხური სიმღერის უბადლო ოსტატისა და მოამაგის, სპორტის დიდი ქომაგის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მეორე

რაც მახსენდება...

დიდხანს ვყოყმანობდი, სანამ ამ პაწარა ნიგნზე დავინწყებდი მუშაობას, მაგრამ, როცა დაიბეჭდა კრებულები – „სამეგრელო“ (4 ტომად) და „ხალხური სიმღერების ქომაგნი“, მივხვდი, რომ მართალი იყვნენ მამაჩემის – კოტე ჩიკვაჭიას მეგობრები, განსაკუთრებით ისინი, ვინც კარგად იცნობდნენ მისი წხოვრების გზას, როცა მაქვსებდნენ, მეზრუნა ასეთი ნიგნის გამოყენებაზე, როგორც შვილს, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი, ამას სხვები უკეთესად, უფრო დამატარებლად ვააკეთებდნენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ნიგნებში მეგრული სიმღერების მოამბეება შორის კოტე ჩიკვაჭია გაკვირით იყო მოხსენიებული, როგორც კარგი მომღერალი და არაფერი იყო ნათქვამი მის სალოცდარო საქმიანობასა და მეგრული სიმღერების დამუშავებაში შეტანილ მოკრძალებულ ნვლილზე. უფრო მეტი, „მარბელი“, რომლის მიხეული ვარიანტის ურვლელო შემსრულებელი იყო იგი ვალის ანსამბლში შატონ აკაკი ხარებავასთან ერთად (საბუნდერიოდ, ამის დადასტურება ჯერ კიდევ შეუძლიათ მამაჩემის თანამედროვე გალელეებსა და არა მარტო მათ), სხვას მიუენრა – მის შემსრულებლად შატონ აკაკისთან ერთად ვინმე კიქიაა დასახელებული. ამან გადაამწყვეტინა, შემყრინა მისი თანამედროვეების მოგონებები და ის მწირი მასალა, რომელმაც შესაძლებლობა მომეცა წარმოემჩინა მისი საქმიანობის ფართო საზოგადოებისათვის უწონი ფაქტები – იგი ხომ შატონი კინი გეგეჯორის შემდეგ ვარკვეული დროის

მანძილზე (1938 წლიდან) შატონ აკაკი ხარებავასთან ერთად, ხოლო 1955-1958 წლებში დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა ვალის სიმღერისა და რეკის ანსამბლს.

ძალიან მწყდება გული, რომ დღეს ამ ნიგნს ვერ ამშვენებს ისეთი ღირსეული პიროვნებების მოგონებები, რომლებიც პირადად იცნობდნენ და დიდად აფასებდნენ მის პიროვნულ თვისებებსა და შემოქმედებას – თენგიზ სუხიძეილი, რომერტ შარბიძეშვილი (ჩვენ მასთან ახლო ნათესაური ურთიერთობა გვქონდა), დამიანე გოგობია, ანტონო ჯუჯია, ხუჭა გერგუაძე, ძირიანე ეზუგბაია, გივი ჭანჭურია, ნინა კვავასკირი, იგორ ვითოლოენია, ვალიკო ჭანჭურია და მრავალი სხვა...

ღრმა პატივისცემითა და მოკრძალებით მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა შატონებს – ანზორ ერქომაიშვილსა და ზურაბ ერქვანიას, რომელთაც მიმიძღეს დამენყო მუშაობა ამ ნიგნზე.

საკმარისი იყო მეთქვა – კოტე ჩიკვაჭიაზე მოგონებებს ვაგროვებ-მეთქი, უამრავი ადამიანი გამომეხმარა და საკმაოდ მოკლე დროში შემეგროვდა ეს მასალა. ამიჯომ დიდი მადლიერების გრძობით ვარ გამსჭვალული ყველას მიმართ, ვინც ასე გულთბილად მოიგონა ეს უბრალო, თავმდაბალი, სამშობლოზე, მეგობრებზე, ხელოვნებასა და სპორტზე უსაზღვროდ შეყვარებული კარგადი კარი – ვინც წხოვრების გზა კეთილსინდისიერად განვლო და ნათელი კვალი დაუტოვა მომავალ თაობებს.

არის ცხოვრებაში ისეთი შთამბეჭდავი მომენტები, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე ნათელ კვალს ტოვებენ. ბავშვობაში ბევრი ასეთი მომენტი მქონდა, რადგან ვიზრდებოდი ოჯახში, სადაც უბრწყინვალესი თეატრალური საზოგადოება იყრიდა

თავს. მაგრამ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მაინც მამას ომიდან დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული. მართალია, პატარა ვიყავი, ოთხიოდენ წლის, მაგრამ დღესაც თვალწინ მიდგას მეზობლების სინანულითა და სიბრალურით სავსე ცრემლიანი თვალები, რადგან მამა დაღუპული ეგონათ. ის კავკასიის ფრონტზე იბრძოდა და მასზე კარგა ხანს არაფერი ვიცოდით. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ქიშკარში შემოვიდა ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი, ორდენებით მკერდდამშვენებული კაცი. კი არ ვიცანი, ალბათ, გუმანით მივხვდი ვინც იყო, რადგან ვიყვირე – მამა! როგორ ჩამოვფრინდი კიბეებიდან და როგორ აღმოვჩნდი მის მკლავებში, უკვე აღარ მახსოვს...

მამა ორი ოჯახის, ბაბუასა და მისი ძმის ერთადერთი შვილი იყო. ბებიის მონათხრობიდან ვიცი, რომ მას მამაჩემის დაბადებამდე რამდენიმე ფეხმძიმობა ჰქონია, მაგრამ ბავშვი გაჩენამდე ან დაბადებისთანავე ეღუპებოდა. ამან განაპირობა, თურმე, მამას უცებ გაძიძება მარია და ფარნა ხაზალიების ოჯახში, სადაც ძუძუმტე მაკარისთან ერთად იზრდებოდა. მოგვიანებით ჩვენც, მე და ჩემი და-ძმა – ლია და ზურაბი, ზაფხულს, ძირითადად, ამ ოჯახში ვატარებდით. მე დღესაც დიდი სიყვარულით ვიხსენებ მაკარის შვილებთან — მაყარა და ლუდმილასთან (ლუბიასთან) ერთად გატარებულ დროს. მათი ოჯახები ჩემთვის დღემდე უაღრესად ახლობელია და ძვირფასი.

მამაჩემის ოჯახი თავისი დროისთვის ძალიან შეძლებული ყოფილა. სოფელ ორსანტიის ცენტრში დღესაც დგას ბაბუასეული სახლი, რომელშიც წლების მანძილზე სოფლის საავადმყოფო იყო განთავსებული. მახსოვს, ბებია როგორ სათუთად ინახავდა ნასყიდობის სიგელს და ქ. გაგრაში შექმნილი მინის ფართობის რუკას, მაგრამ...

დედისერთას ძალიან ანებივრებდნენ, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, საკუთარ ცხენ-უნაგირზე ამხედრებული დადიოდა, თურმე, ქირში თუ ლხინში. მამა ბავშვობიდან უსაზღვროდ

მოსიყვარულე და გულჩვილი ყოფილა. ჩემი აზრით, ეს თვისებები შესანიშნავად ჩანს ერთ შემთხვევაში. თოთხმეტი წლის ასაკში მეზობელს გაჰყოლია ნათესავის გასვენებაში. მიცვალებული ასაკოვანი ყოფილა და მგლოვიარობა არავის ეტყობოდა თურმე, მაგრამ, უცებ, სულისშემძვრელ კვილზე ყველა განაბულა — და მოდის, და მოდისო. მიცვალებულის დის ტირილს ყველა აუტირებია. იქედან მობრუნებულ მამაჩემს ბაბუას ბიძაშვილის მრავალშვილიან ოჯახში გაუვლია, ყველაზე უმცროსი, 3 წლის გოგონა შემოუსვამს ცხენზე და ბიცოლასთვის დაუბარებია – მე სახლში მიმყავს მარგო (ასე ერქვა ბავშვს) და დღეიდან ჩემი და იქნებაო; სახლში მისულს კი ბებიაჩემისთვის უთქვამს – მე დღეს დავრწმუნდი, ვისაც და არ ჰყავს, ის კაცი არ დაიტირება და მე დაიკო მოვიყვანეო. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ 14 წლის ბიჭს წინააღმდეგობა, თურმე, ვერავინ გაუწია. მარგო მამიდა მამას ღვიძლი და რომ არ იყო, უკვე ქმარშვილიანმა გავიგე, როცა მამიდას ღვიძლი ძმა გარდაეცვალა (მას ორი ძმა და ოთხი და ჰყავდა, მაგრამ საფიცარი ძმა სწორედ მამაჩემი იყო). მაშინ გვიამბო მამამ ეს ისტორია.

მამა ბავშვობიდანვე საოცარი იუმორით სავსე, კარგი მომღერალი და ცხენოსანი ყოფილა. ერთ მშვენიერ კვირა დღეს მეათე კლასის მოსწავლე ქორწილიდან შექეიფიანებული ბრუნდებოდა თურმე. სკოლის მეორე სართულის ფანჯრიდან გოგებს გამოუჯავრებიათ — თუ ბიჭი ხარ, ამოდიო და ... მასაც დიდხანს არ უყოყმანია, ცხენზე ამხედრებულს ამოუყვია თავი მეორე სართულზე. რა თქმა უნდა, ამას დიდი აურზაური გამოუწვევია და პედსაბჭოს მსჯელობის საგანი გამხდარა. რომ არა ბატონი გიორგი ტორუა – გალის საშუალო სკოლის ყველასაგან პატივცემული მასწავლებელი, რომლის ნათქვამსაც – შეიძლება, ეს ბიჭი ქვეყანას უფრო გამოადგეს, ვიდრე ზოგიერთი ფრიადოსანიო, სხვებიც აუყოლებია, – სკოლიდან გავირიცხებოდი კიდევცო, ხშირად იგონებდა მამა.

თავისი გულკეთილობითა და უშუალოდ მამამ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა არა მარტო თანატოლებში, არამედ უფროსი თაობის გალელეებშიც. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცს, მამამისის ტოლმა კაცმა, ბატონმა პლატონ ჭანტურიაშვილმა (რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის გივი ჭანტურიას მამა), უანგაროდ ჩამოუჭრა საკუთარი მიწის ფართობიდან სამოსახლო ნაკვეთი, რათა გალში დამკვიდრებულიყო. მართლაც, მამა დარჩა გალში, შექმნა ოჯახი და აქტიურად ჩაება შრომით საქმიანობაში. სამწუხაროდ, დღეს გორკის ქუჩა №6-ში უპატრონოდ, ლულუნი დემურის ოჯახის იმედად-ლა დგას მისი სახლი და მისი ნალოლიავეები შესაშური ეზო-კარი, რომელსაც არაერთი საპატრიო სტუმარი ახსოვს.

მამას გამორჩეული პიროვნული თვისებები ჰქონდა. ის ძალიან კომუნიკაბელური იყო, ურთიერთობის განსაკუთრებული კულტურა ჰქონდა, ყოველთვის რომ გამოარჩევდა ჩვენი კუთხის დარბაისელ კაცს. ყველას, ვისაც კი თუნდაც მცირე ხნით შეხვედრია, უკვირდა მისი თავმდაბლობა და უშუალობა. წარმოუდგენელი იყო, მამას გზა არ დაეთმო ბავშვისთვისაც კი. როგორ მალცებდა, როცა ჭიქა წყლის მიწოდებისთვისაც კი ჩვენ, შვილებს, მაღლობას გვიხდიდა, ხოლო კარებში შეჩებებული, უკან იხევდა და ბოდიშის მოხდით გვატარებდა... ასეთი იყო მისი ცხოვრების წესი.

მუსიკის სიყვარული მამას, ალბათ, დედისგან გამოჰყვა. მე კარგად მახსოვს ჩვენს ოჯახში გამართული საოჯახო კონცერტები. ბებია ბრწყინვალედ უკრავდა გიტარაზე და მამასთან ერთად მღეროდა; როცა დედაც შეუერთებოდათ, შესანიშნავი ტრიო გამოსდიოდათ – დედა ხომ გალის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრი იყო. დღესაც ყურში ჩამესმის სიმღერები „რუსთაველი“ და „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“ მათი შესრულებით. შემდეგ ამ სიმღერებმა გალის ანსამბლის რეპერტუარში დაიმკვიდრეს ადგილი.

ანსამბლის სიმღერებს აღტაცებაში მოჰყავს მსმენელები, მაგრამ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენს, რაოდენ შრომატევადი

იყო შესრულების სრულყოფილებამდე მიყვანა. მე თავად ვარ თვითმხილველი, თუ როგორი გულმოდგინებით ეძებდნენ, მარცვალ-მარცვალ აგროვებდნენ ძველ ხალხურ სიმღერებს, როგორი რუდუნებით ამუშავებდნენ, ხვენდნენ და ახლებურად აჟღერებდნენ მათ ბატონი აკაკი ხარებავა (კაკო ბიძია) და მამა (მათ ნოტები არ იცოდნენ და ყველაფერს ზეპირად აკეთებდნენ). „კუჩხი ბედინერი“, „სიმღერა რუსთაველზე“, „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“, „მა სი ვარდი“, „თიში იღბალი მილუდუო“, „მეურემე“, „გეშვია“, „მარებელი“, „ჩელა“ და სხვ. – ეს იმ სიმღერების მცირე ჩამონათვალია, რომელთა საკუთარი ვარიანტები შექმნეს მამამ და ბატონმა აკაკიმ და უდიდესი წარმატებით ასრულებდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე. მამას ძლიერი, ლამაზი პირველი ხმა ჰქონდა და ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი სიმღერა, არასოდეს შეეშლება სხვაში. ყოველი ახალი სიმღერის პირველი მოსმენა და შეფასება ჩვენს ოჯახში ხდებოდა, სადაც ხშირად ბატონ აკაკისთან ერთად იკრიბებოდნენ წამყვანი სოლისტები: ქალბატონები — ბაბილინა მარლანია, ნინა კვეკვესკირი, ზინა დემურია, ნუცა მიქია, შურა ჭელიძე; ბატონები — ლეონტი შონია, მეგობორავა, დათიკო ხაინდრავა, ბორის აქუბარდია, ბორია ხვიჩია. აქვე იმართებოდა რეპეტიციებიც. ამ მოსმენებს აუცილებლად ესწრებოდა გალის რაიონის ხელმძღვანელობა – ბატონები ანტიფო ჭეჟია, დამიანე გოგობია, ლავრენტი სოტკილავა (ზურაბის მამა), ანტონ ჯახანია და სხვები. მართლაც, დაუვინყარი საღამოები იყო.

ჩვენს ოჯახს ბევრი საპატრიო სტუმარი ახსოვს. ვის არ შეუფასებია ბებია და დედას დიასახლისობა — თბილისის რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების დასებსა თუ სუბსივილების კოლექტივს (ბატონი თენგიზი ძალიან თბილად იგონებდა მამას, გალში ჩატარებულ კონცერტებს), სოხუმის ჭანბას სახელობის თეატრის დასს თუ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ბატონ რაჟდენ გუმბას ხელმძღვანელობით (მასთან მამას ძალიან ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და ის ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო). ჩემს მეხსიერებას ყველაზე ბრწყინვალე მოგონებად მაინც 1949

ნლის ივლისი შემორჩა – რუსთაველის თეატრის გასტროლები გალში და მათ პატივსაცემად ჩვენს სახლში გამართული ბანკეტი. როგორ შეიძლება დავივინყო ის ბედნიერი წუთები, როცა მე და ჩემი და (ძმა მოგვიანებით დაიბადა) ბუმბერაზი მსახიობის — ბატონ აკაკი ხორავას მუხლებზე წამოსკუპულები სულგანაბულები ვიღებდით ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძისა და სხვათა ალერსს. მაშინ ჩვენი სახლიდან გააცილეს ბატონი აკაკი ტირანაში (ალბანეთი), სადაც იგი კინოფილმ „სკანდერბეგის“ გადაღებაზე იყო მიწვეული.

„მარებელი“, „კუჩხი ბედიერი“, „ჩელა“, „სიმღერა რუსთაველზე“, „სიმღერა მეგობრობაზე“ და სხვ. ის სიმღერებია, რომლებიც ფირზე იყო ჩანერილი და დღეს საქართველოს რადიო-ტელეკომპანიის ოქროს ფონდში ინახება. ეს ჩანანერები ჩვენს ოჯახშიც ინახებოდა, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ისინი აღარ არსებობს. მაგონდება ბებიას გასვენება 1953 წლის მარტში. პროცესია ქალაქის ცენტრს გადიოდა, როცა რადიოში გაისმა „სიმღერა რუსთაველზე“ მამას შესრულებით; მას ხომ მამა და ბებია მღეროდნენ ოჯახში. რა თქმა უნდა, ეს უბრალო დამთხვევა იყო, მაგრამ იმდენად გულისამაჩუყებელი, რომ პროცესია გაირინდა და სიმღერის დასრულებას დაელოდა.

მამა უღალატო, მაღალი პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნება იყო. ნებისმიერი დავალების შესრულებას დიდი გულისყურით ეკიდებოდა, სულსა და გულს აქსოვდა. ამიტომაც ანდობდა რაიონის ხელმძღვანელობა მას საპატიო სტუმრების მიღებისა თუ საიუბილეო საღამოების ორგანიზებას. მასსოვს ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას იუბილის აღნიშვნა გალის რაიონში. საღამო, რა თქმა უნდა, ყველას ძალიან მოეწონა, მაგრამ არავინ იცოდა, თუ როგორ განიცდიდა და რამდენს ნერვიულობდა მამა მისი ორგანიზებისას. იცოდა, რომ იუბილარს ვერაფრით გააკვირვებდა, მაგრამ... არჩევანი მაინც ტრადიციულად ნაბადსა და ყანწებზე შეაჩერა. თვითონ წავიდა ყაბარდოში და საუკეთესო ნაბადი შეუკვთა; ყანწებთან

დაკავშირებით კი ბევრი იწვალა. არ უნდოდა ყანწები ტრაფარეტულად მიერთმიათ და მაგიდაზე დაელაგებინათ. ეძებდა რაღაც განსაკუთრებულს და იპოვა კიდეც ორიგინალური გადანყვეტა. ზუგდიდში მოიძია ხელოსანი, ნითელი ხისგან ჯიხვის თავი გამოაკვეთინა, რომელიც მაგიდაზე იდგმებოდა და ზედ ვერცხლით მოჭედული ულამაზესი ყანწები ჩამოაცვა. მართლაც, საოცარი სანახავი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნე, მამა საერთო საქმისთვის თავდადებული პიროვნება იყო და საზოგადოებრივი ყოველთვის პირადულზე მაღლა აყენებდა. ამის დასტურად ერთი მომენტის გახსენებაც საკმარისია მისი ცხოვრებიდან. 1976 წელს მოსკოვში ოლიმპიადაზე წასვლის წინ, მოულოდნელად, ჩემი უფროსი და, სრულიად ახალგაზრდა – 37 წლისა გარდაიცვალა. შვილის სიკვდილით გულდამწვარი მამისთვის ვის უნდა შეეხებდა სიტყვა მოსკოვში გამგზავრებაზე. არც არავის დალოდებია. მიუხედავად იმისა, რომ უსაზღვროდ განიცდიდა ამ ტრაგედიას, ოჯახში განაცხადა – გლოვა ჩემი პიროვნულია, საერთო საქმეს ვერ გავაფუჭებ და მეგობრებს ვერ დავალალატებო. თვითონ მივიდა ანსამბლში, რითაც ყველა გააკვირვა და გაახარა კიდეც. ასეთი იყო მისი დამოკიდებულება საერთო საქმისადმი და უსაზღვრო სიყვარული ხელოვნებისადმი. სწორედ ამიტომ მიაკუთვნებენ მას ისეთ ადამიანთა რიგს, რომელთაც თავისი შრომითა და მოღვაწეობით დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ქართული კულტურის განვითარებაში.

როგორც ხელოვნებისა და სპორტის თავყვანისმცემელს, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ამ სფეროში მოღვაწე პიროვნებებთან. აფხაზებთან მისი ურთიერთობა კი სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ მამას ორი ბიცილა ჰყავდა აფხაზი — ქალბატონები ელენა მარლანია-გვათუასი (მარლანხეს ეძახდა მას) და ოლია ხაშბა-ხაზალიასი. მე დღესაც დიდი სიყვარულით ვიხსენებ მათ და მონივნებით პატივს მივაგებ მათ ნათელ სსოვნას.

მამას ხალასი და მეგობრული სიყვარულით აღსავსე ურთიერთობები აფხაზებთან ცალმხრივი არ ყოფილა. ის ისეთივე სიყვარულს, პატივისცემასა და ძმურ თანადგომას გრძნობდა მათგან, როგორსაც გასცემდა. ამის დასტურად ერთი ამბავი მინდა გიამბოთ. 1992 წლის ივნისს, გალში, მამას ოჯახში მისულა ახალგაზრდა ქალბატონი, რომელსაც ჩემი ძმისთვის, ზურაბისთვის, ბატონ რაჟდენ გუმბას სახელით უთხოვია მასალეები მამაზე. ბატონი რაჟდენი იმდენად ახლოს იყო ჩვენს ოჯახთან, რომ მას უყოყმანოდ მიუცია ყველაფერი — სურათები, სიგელები, დიპლომები, ფირები მამას სიმღერებით, აფხაზეთის დამსახურებული არტიტის დიპლომიც კი. მალე ომი დაიწყო. მე ეს ამბავი აფხაზეთის დატოვების შემდეგ გავიგე. ზურაბმა კი თქვა, რაჟდენ ბიძიას ქალიშვილი იყო, მაგრამ სახელიც არ იცოდა მისი; რა თქმა უნდა, ყველაფერი დაკარგულად ჩავთვალეთ და ძალიან განვიცდიდით. და აი, 2009 წლის ოქტომბერში გალელმა მეზობელმა ომარ ეზუგბაიამ ჩამომიტანა ეს მასალა, მაგრამ ვერ მითხრა, თუ ვინ ჩამოიტანა ის სოხუმიდან. ამ ამბავმა სულით ხორცამდე შემძრა და კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ იმ მხარესაც (აფხაზებში) არიან ადამიანები, რომელთათვის ძვირფასია წარსული, ქართველ-აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ძმური ურთიერთობები და მამას, როგორც ამ ურთიერთობების ერთ-ერთი შემდგულაბების ნათელ სსოვნას ამით მიაგეს პატივი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვის რაში სჭირდებოდა სოხუმიდან გალში, კოტე ჩიკვატიას ნასახლარზე ჩამოსვლა და ამ მასალის უკან დაბრუნება შთამომავლებისთვის, რომ გაენადგურებინათ, პასუხი ვის მოეკითხებოდა?! გულწრფელი მადლობა მათ ამისთვის.

მამას ძალიან უყვარდა ლექსების მხატვრული კითხვა. მახსოვს, ერთხელ ფშავიდან ჩამოსულმა მათრახი ჩამოიტანა და მოწინებით კედელზე დაკიდა ბაბუას სურათის ქვეშ. ჩვენს სიცილზე მკაცრად გვითხრა — თქვენ რა იცით, ეს რა მათრახია, ეს ვაჟა ფშაველას ნაქონი მათრახია და ასეთი ძვირფასი საჩუქარი ჩემს სიცოცხლეში არ მიმიღიაო. თურმე, მის პატივსაცემად

გამართულ ნადიმზე მამას ბევრი უმღერია და ვაჟას ლექსებიც წაუკითხავს, პასუხად მამასთვის, პატივისცემის ნიშნად, ეს მათრახი უსახსოვრებიათ ფშაველებს. შემდგომ ამ მათრახმა გალის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაიდო ბინა. მამა თვითონაც თხზავდა ლექსებს, მაგრამ არ იწერდა. ლხინისა თუ ჭირის სუფრაზე ის უცვლელი თამადა იყო და სადღეგრძელოებს ხშირად ლექსებით ამბობდა. ერთ-ერთი — „დალოცვა“ კარგად დამამახსოვრდა და ზოგჯერ მეც ვიმეორებ ხოლმე.

„ავიღებ სასმისს სიამოვნებით,
და სურვილი მაქვს ეს ამოვწურო,
რადგან გერგებათ ყოვლის ღირსებით,
რომ მომავალი გულით გისურვოთ,

გულწრფელად გეტყვით, ამ ქვეყანაზე,
რაც რომ კარგია, მინდა თქვენ გქონდეთ,
ყველა ხალხს შორის, ყოველ მხარეში
სიამით თქვენი ქება ისმოდეს.

ღმერთი გწყალობდეთ, ხალხი გეტრფოდეთ,
ულევი გქონდეთ ღვინო და პური,
მტერი თქვენს საწყენს ვერას იქმოდეს,
სახელი გქონდეთ მამა-პაპური.

სამეგრელოში თამადა ალავერდს ღვინით სავსე ჭიქებით (5, 7, 9 და ა.შ., შემცირება არ შეიძლებოდა) გადადიოდა. როცა მამა ალავერდს და, შესაბამისად, ამდენ სავსე ჭიქას მიიღებდა, გალექსავდა კიდევ. სამწუხაროდ, მთლიანად არ მახსოვს ეს ლექსი, მაგრამ მთავრდებოდა ასე — „... მარა ძვას ათე ზღვას, ეობძირუნქო მუთუნნი დღას?!“ (მაგრამ ნაპირს ამ ზღვაში, ვნახავ ოდესმე?!) ცხადია, ღვინის ზღვას გულისხმობდა.

1981 წლის 10 იანვარს ჩემმა მეუღლემ მამა თბილისში წაიყვანა, კარდიოლოგიის ინსტიტუტში, გამოკვლევაზე (მას ინფარქტი ჰქონდა გადატანილი). ჩვენდა მოულოდნელად, ის დატოვეს სტაციონარულ მკურნალობაზე და 13 იანვარს მე და დედა ჩავედით მასთან. დედა მეორედღეს დაბრუნდა, მე კი

დავრჩი. მნახველები მას ნამდვილად არ აკლდა, ნათესავეები თუ ახლობლები ყოველდღე ეხვია თავს, მაგრამ 16 იანვარს საშა ბიძიასა (დეიდას მეუღლე) და ლუიზას (დეიდაშვილი) მოსვლამ ძალიან გაახალისა. კარგად ვარ და აქ რატომ ვარ, ვერ გამიგიაო, უთხრა მათ. დიდხანს ისაუბრეს, ბევრი რამ მოიგონეს და, თურმე, უკანასკნელად გამოეთხოვნენ ერთმანეთს. მე მამას ხელი მეკავა და ვეფერებოდი. უცებ სიმღერა წამოიწყო. ასეთი ლირიკული სიმღერა მისგან ადრე არ მსმენია. მთელი ტექსტი არა, მაგრამ მახსოვს ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა „... ჩქიმი ცოლა“ (ჩემი ცოდვა). თურმე ბოლო წუთები ჰქონია, ის კი ისე ლამაზად მღეროდა, პალატის კარი გამოაღეს და ექიმებიც და ავადმყოფებიც სულგანაბულები უსმენდნენ; ბოლო ამოსუნთქვა სიმღერას ამოაყოლა. ასე სიმღერით გამოეთხოვა წუთისოფელს. სხვათა შორის, მისი თხოვნის თანახმად, ის მისივე სიმღერებით გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე. გასვენების დღეს ფანჩატურთან, სადაც მამა ესვენა, შავ სუდარაგადაფარებული მისი ცხენი „ბასირი“ იდგა და თვალებიდან ცრემლები სდიოდა. ცხენიც დასტიროდა პატრონს, რაც სულისშემძვრელი სანახაობა იყო და დიდხანს ისხენებდნენ თვითმხილველები. დედაჩემი მეუღლის დაკარგვას ვერ შეეგუა და ექვს თვეში ისიც გარდაიცვალა. ორივე დაკრძალულია გალში, ქალიშვილის გვერდით.

„შესანიშნავი მოქალაქე, უღალატო ადამიანი, ლხინშიც და ქირშიც გვერდში მდგომი და თანაზიარი, ბავშვთან ბავშვი და დიდთან ბრძენი, უბადლო თამადა – ასეთი დარჩა კოტე ჩიკვატიას ხსოვნა არამარტო ოჯახის, არამედ მეგობრების, ახლობლებისა და მისი ხელოვნების მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა გულში“. ასე ახასიათებენ მას არა მარტო სამურზაყანოელები და ამით ამაყი და უაღრესად ბედნიერი ვარ.

რაისა ჩიკვატია-ქარაია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ღირსების ორდენის კავალერი

მებრული სიმღერის მშენებლობა

სულ რაღაც ოთხი წელი ვმუშაობდი გალის რაიონში. თუ ამას დავამატებთ ენგურჰესის მშენებლობაზე გატარებულ ორ წელიწადზე მეტს, საბედნიანო-სამურზაყანოს საზოგადოებასთან მთელი ექვსი წელი მქონდა ურთიერთობა. მოგეხსენებათ, ამ გიგანტი მშენებლობის ძირითადი ობიექტები და მშენებელთა დასახლებები სწორედ გალისა და ნალენჯიხის რაიონების ტერიტორიებზე იყო განლაგებული. ეს პერიოდი აღსავსე იყო კულტურისა და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა მიერ ჩვენთან ჩატარებული ღირსსსოფარი შეხვედრებით, კონცერტებით, წარმოდგენებით, თეატრალიზებული წარმოდგენებით, რომლებშიც ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები მონაწილეობდნენ.

ჯერ კიდევ მაშინ და მომდევნო წლებშიც არ გამწვანებია გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მიერ სტუმრებსა და მასპინძლებზე დატოვებული განსაკუთრებული შთაბეჭდილება. ღრმად ჩამრჩა მესსიერებაში მათი საოცარი საშემსრულებლო დონე, განუმეორებელი კოლორიტი, დამოკიდებულება ტრადიციებისადმი, ადათ-წესებისადმი, დახვეწილი ქცევა და უნიკალური სასიმღერო კულტურა.

როცა სამუშაოდ გალის რაიკომის მდივნად ვადამიყვანეს, ერთ-ერთი პირველი, ვინც მოვიკითხე, სწორედ ბატონი კოტე ჩიკვატია და მისი ანსამბლი იყო. შევპირდი ყოველმხრივ მხარდაჭერასა და თანადგომას, რასაც ანსამბლის ახალგაზრდა და ასაკოვანი წევრები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. აფხაზეთისა და საქართველოს მასშტაბით გამართულ უამრავ ოლიმპიადაზე, დათვალიერებასა თუ სხვა ღონისძიებაზე ჩვენი მომღერლები ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ; როგორც წესი, მათ გამოსვლებს თან სდევდა საყოველთაო მოწონება და აღიარება. რაიონს ბევრი სახელგანთქმული მოღვაწისა და შემსრულებლის – მწერლების, პოეტების, კომპოზიტორების, მომღერლების სტუმრობა ახსოვს. როცა ბატონ კოტე ჩიკვატიას მიერ შესრულებულ ქართულ ხალხურ სიმღერებს

ისმენდნენ, თავს ვერ იკავებდნენ ალტაცებისაგან. ეს ყველას ძალიან გვახარებდა, რადგან სულ სხვა აზრი ეძლეოდა პროფესიონალთა მხრიდან გამოხატულ დამოკიდებულებას ამ, მართლაც და, უბადლო ხელოვანისადმი.

1977 წელს თბილისში გაიმართა პოგუაშის საერთაშორისო მოძრაობის (გენიალური ფიზიკოსები და მათემატიკოსები – ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის) სესია, რომელსაც თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, გალში დაბადებული ბრძენი კაცი, ბატონი ილია ვეკუა წარმართავდა. მონაწილეთათვის ერთ-ერთ კულტურულ ღონისძიებად გალში ჩამოსვლა დაიგეგმა. შეხვედრა კობორის ციტრუსების მეურნეობის (დირექტორი ბატონი გოგი ჩაჩიბაია) ცნობილ ფანჩატურში შედგა. სტუმართა შორის იყვნენ ნობელის პრემიის ლაურეატები, საიდუმლო გრიფით დაცული მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ბატონი ილია ვეკუა უკვე მძიმედ იყო ავად და ამიტომ მას საუბარი შეზღუდული ჰქონდა. თამადად ბატონი ლორიკ მარშანია დავნიშნეთ. გალში გავიგე, თუ როგორი სიყვარულით იყო დაკავშირებული კოტე ჩიკვატიას ანსამბლთან ბატონი ილია ვეკუა. სუფრის თავში დავსვით (და არა ბოლოში) ქართულ ჩოხა-ახალუხში გამონწყობილი ბატონი კოტე და მისი ანსამბლის ასაკოვანი წევრები, რომლებიც მთელი სალამო ქმნიდნენ არაჩვეულებრივ ფონს მეგრული „კუჩხი-ბედიერიდან“ დანწყებული, ათობით ხალხური სიმღერის უბადლო შესრულებით. მათი ზეციური ხმა გალობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიმღერას. მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ასაკოვანი მეცნიერები ქართულ ღვინოსა და სიმღერას ერთნაირად დაეწაფნენ და უდიდესი კმაყოფილებითა და გულდანწყევით დატოვეს იქაურობა. რამდენჯერმე შევნიშნე კურცხალი ბატონი ილია ვეკუას თვალზე. სხვათა შორის, იმავე წლის ბოლოს ილია ვეკუა გარდაიცვალა. მოხდა ისე, რომ გარდაცვალებიდან რამდენიმე წუთში მე მისი სახლის სადარბაზოში აღმოვჩნდი და კინალამ მუხლები მომეკვეთა, როცა ბინის კარებთან ბავშვივით მოქვითინე ბატონი დამიანე გოგობია შევნიშნე, ხოლო იმ ოთახიდან, სადაც მიცვალებული

ესვენა, ბატონ კოტე ჩიკვატიას ანსამბლის მიერ შესრულებული მეგრული სიმღერების ღვთიური ჰანგები მომესმა. შემდეგ შევიტყვე, რომ სიკვდილის წინ მათი მოსმენა ბატონ ილიას უთხოვია და ამ ხმებში ჩაძირულს აღმოხდა, თურმე, სული. მე როცა მივედი, მუსიკა ჯერ კიდევ არ იყო გამორთული. ბარემ აქვე ვიტყვი, გალიდან რამდენიმე წლის წასული ვიყავი, როცა მითხრეს, ბატონ კოტე ჩიკვატიასაც სიკვდილის წინ სიმღერა წამოუნყია და მისი სიცოცხლაც ამ სიმღერასთან ერთად დასრულებულა.

1977 წელს ბატონი კოტე ჩიკვატია 70 წლის გახდა და ანსამბლიდან წასვლას ითხოვს, მითხრეს. კარგად ვიცოდი მის თავს დატეხილი პირადი ტრაგედიისა და, აქედან გამომდინარე, ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ. წინააღმდეგობა არ გავუწიეთ, მაგრამ გადავწყვიტეთ, ანსამბლიდან მხოლოდ სპეციალური სალამოს გამართვის შემდეგ გაგვეშვა. გასაცხლებლად მთელი საზოგადოება გულდასმით ემზადებოდა, რამდენიმე რეპეტიციას თვითონაც დავესწარი. ბატონი კოტე კულტურის სახლში კი მოიყვანეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდად შეიქნა და სალამოს ვერ დაესწრებოდა. მივიღეთ ძნელი გადაწყვეტილება — შეკრებილი ხალხი უკან დავაბრუნეთ და სალამო მის გამოჯანმრთელებამდე გადავდეთ.

და ვერ დაველოდეთ ამ დღეს....

იგი, ისევე როგორც ილია ვეკუა (ასაკით მისივე თანატოლი), ისე წავიდა ამ წუთისოფლიდან, რომ მისი 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სალამო არ გამართულა.

ამ ტკივილს დღემდე ვატარებ...

კოტე ჩიკვატია ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩვენი საზოგადოებისა, ვინც ღრმა კვალი დააჩნია ჩვენს ცხოვრებას და სამუდამოდ დარჩა ადამიანთა მენსიერებაში. შეუძლებელია ამ ღვანლის დავინწყება, რადგან შეუძლებელია დავინწყებას მიეცეს ქართული ხალხური სიმღერა — მისი მშვენება — მეგრული სასიმღერო ფოლკლორი და მისი უნიკალური ნიმუშების უბადლო შემსრულებელი.

ბაკურ გულუა

სამურზაყანოს ბულბული¹

საქართველოში მღეროდნენ და მღერიან ქირსა თუ ლხინში, მარტო თუ ჯგუფურად, ლილინებენ თავისთვის შინ და გარეთ ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში. ჩვენს ისტორიას უამრავი საარაკო მაგალითი ახსოვს, როცა დამარცხება გამარჯვებად შემოუბრუნებია საჭირო დროსა და ადგილას წამოწყებულ სიმღერას. სამურზაყანოელებმა სრულიად საქართველოს დარად არა მარტო შემოინახეს უძველეს კოლხთაგან სიმღერისა და გალობის კულტი, არამედ, განავითარეს კიდევ და შექმნეს განსაკუთრებული მუსიკალური ხელოვნება. აქ ყოველ სოფელს აქვს თავისი მითი და თავისი განუმეორებელი ჰანგი, აქ უამრავი წარმართული თუ ქრისტიანული თვითნაბადი ადათ-წესია, ტრადიცია და ჩვეულებაა, რომელთაც დღემდე უფრთხილდებიან.

სანამ ცოცხალი ვარ, რა დამავინყებს იმ ჯადოსნური ხმების სამყაროს, სცენაზე რომ ქმნიდა გალის სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლი, რომელსაც ქართული, მეგრული, აფხაზური სიმღერების შესრულების შემდეგ ოვაციებით აცილებდა სცენიდან აღტაცებული აუდიტორია.

ეს სასწაული 1931 წელს შექმნა და შემდგომ დიდ გზაზე გამოიყვანა სამმა დიდმა შემოქმედმა - ბატონებმა კინი გეგეჭკორმა, აკაკი ხარებავამ და კოტე ჩიკვატიამ. გალელთა ანსამბლმა იმთავითვე თავისი ადგილი დაიკავა აფხაზეთსა და მთელს საქართველოში. მერე იყო ომი და ანსამბლი თოხს იქნევდა ყანაში, ასრულებდა „ჩელასა“ თუ „მარებელს“, ამხნევებდა მეომრებს, ძაძვით შემოსილ ოჯახებს.

1949 წელს სოჭში სტალინი შეხვედრია ანსამბლის რჩეულებს, სულგანაბულს მოუსმენია ჩვეული ყურადღებით და როცა მისი შესრულებით „გაფრინდი შავო მერცხალო“ და

1 საფუძვლად დაედო 2009 წ. 30 ივნისს გაზ. „ილორში“ გამოქვეყნებული სტატია.

„ხასანბეგურა“ აგუგუნებულა, მონონებით თავი გაუქნევია, ფეხზე წამომდგარა, შემსრულებლებისთვის მადლიერებით ხელი ჩამოურთმევია, - ხშირად იგონებდა ბატონი კოტე ამ ეპიზოდს ახალბედებთან.

მრავალგზის ლაურეატი ანსამბლის შემოქმედებაა წარმოდგენილი „კოლხურ სიუიტაში“, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელია ბატონი კოტე - სამურზაყანოს ბულბული - ფილმში თავის მეგობრებთან ერთად სოლოს შემსრულებელი და თამადა. მაყარი-მხედარი კი, რომელიც ასევე ლამაზად მოცეკვავე ცხენით მოუძღვება ნეფე-დედოფალს, მისი ვაჟიშვილია, ზურაბ ჩიკვატია.

კოტე ზუსტად ისეთი იყო, როგორც სამურზაყანოელთა უმეტესობა - უსიტყვო, ალალ-მართალი, წესიერი, უღალატო, შეუპოვარი, ნიჭიერი, თავის ქვეყანაზე, კუთხეზე, ოჯახსა და ნუთისოფელზე უზომოდ შეყვარებული, სისხლითა და ხორციით ქართველი. იგი ცოცხლობდა სიმღერით, ლექსით, მეგობრებით, ადამიანური ყოფის იმ განსაკუთრებული წესით, შემოქმედება რომ ჰქვია: ქმნიდა ცნობილი სიმღერების ახალ ვარიანტებს, სანთლით დაეძებდა სოფლებში მივიწყებულ ნიმუშებს, მეგობრებთან ერთად ხვენდა და ქვეყანას უბრუნებდა სამურზაყანოელთა სახელით, ახლებურად აჟღერებდა „ოღოიას“, „ჯანსულოს“, „სი ქოული ბატას“, „ვარადას“, „ასე ჩონგური ქოფთქუათუს“, „ვაი შური საყვარელის“, „აშო ჩელას“, „რუსთაველს“, „მეურემეს“, „ართი ვარდის“, „თიში იღბალი მიღუდუოს“, „აბა ულას“ და მრავალ სხვას.

მისი მეგობრები იყვნენ სიმღერის ღვთიური ნიჭით მირონცხებული სამურზაყანოელები: კინი გეგეჭკორი, ვალიკო ჩხეცია, ბესო აქუბარდია, აკაკი ხარებავა, კოჭიკო ჯგუბურია, გენო ხორავა, ჯუმბერ მარკელია, ნანული შენგელია, სულიკო შენგელია, ლელა აბაშიძე, ბაბო მარღანია, შურა ქელიძე, ლეონტი შონია, ინდიკო კვარაცხელია, შოლა გვაძაბია და მრავალი სხვა.

კოტე საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მამულიშვილი იყო. მოსკოვში, საკავშირო ფესტივალზე გასამგზავრებლად ემზადებოდა რაიონული ანსამბლი, როცა მის ოჯახს უბედურება დაატყდა, – უფროსი ქალიშვილი ლიანა დაიღუპა მოულოდნელად. ოჯახის სატიკივარი დაიტირა მთელმა აფხაზეთმა და ვინღა გაბედავდა, ძაძებით შებურული მამისთვის მოსკოვში გამგზავრება შეეთავაზებინა, არა და, კოტეს გარეშე ანსამბლის გამგზავრება წარმოუდგენელი იყო.

სანამ ორმოცი მაინც არ ჩამთავრდებოდა არც რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობა, არც მისი მეგობრები იღებდნენ ხმას – ყველა კოტეს ირგვლივ ტრიალებდა გათენებიდან დაღამებამდე სასაფლაოზე. მან კი მოულოდნელად და ყველას გასაკვირად, შვილის საფლავის ჯერ კიდევ ნედლ ბორცვზე წაიღიღინა თავისთვის, მერე გაოგნებულ მეგობრებს შეხედა და ბრძანა, ჩემი ტკივილი თქვენი, თქვენი – ჩემი, სახელი და ღირსება კი ყველასი, რაიონის და მისი ხალხის. ჩემი ტკივილის გამო თავი ხომ არ უნდა მოვჭრათო სამურზაყანოსა და აფხაზეთს. მოსკოვიდან ანსამბლი გამარჯვებული დაბრუნდა, კოტე კი – დიდი ჯილდოთი.

კოტე ჩიკვატია რაიონში ცხენოსნობის მესვეური და რაიონის ღირსეული ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებელი იყო. მას მამამისი, ჯერ კიდევ სრულიად პატარას, ცხენზე აძრომას უშლიდა თურმე, ეშინოდა ტრავმა არ მიეღო პატარას, დედას კი უნდოდა, მას საფუძვლიანი განათლება მიეღო. მოგვიანებით ბატონი კოტე გულიანად იცინოდა იმ დროს შექმნილ, მაგრამ დაუნერეულ თავისსავე პოეტურ რითმაზე: “მა ვამოკო გურაფა, მოკო ცხენიმ რულაფა”. 1960 წელს მან საცხენოსნო სპორტსკოლა შექმნა და მრავალი წელიწადი მისი დირექტორი იყო. თავად უებარი მხედარი, ჭიჭიკო ზუხბაიასთან ერთად, სამურზაყანოს მუდმივი დესპანი იყო აფხაზეთის ყველა ქალაქსა თუ სოფელში; მისი ნორჩი შოკეები გუდაუთაში თუ ოჩამჩირეში,

საქართველოს ლამის ყველა კუთხეში აფხაზ მეგობრებთან ერთად სახელოვნად წარმოადგენდნენ სამურზაყანოს, აფხაზეთს, საქართველოსა თუ საბჭოთა კავშირის ნაკრებს. გალელთა ამ თაობამ ახალგაზრდების მთელი პლეადა აღზარდა, რომლებმაც მრავალჯერ ასახელეს საქართველო ყოფილ დიდ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

ბატონ კოტეს ჰყავს ღირსეული ქალიშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, ცნობილი მეცნიერი – ქალბატონი რაისა ჩიკვატია-ქარაია, ყველასთვის საყვარელი და სახელოვანი ოჯახის წინამძღოლი.

კოტეს ოჯახი ქართული და აფხაზური ხელოვნებისა და კულტურის ერთგვარი სალონი იყო. შოთა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრები, სუხიშვილების სახელმწიფო ანსამბლი, სამსონ ჭანბას სახელობის აფხაზური თეატრის დასი და კიდევ, ვინ ჩამოთვლის, რამდენი სახელოვანი შემოქმედებითი კოლექტივი მიუღია და რამდენს გამასპინძლებია მისი ეზო-კარი. რალა თქმა უნდა, ბატონი კოტე ამ წვეულებების უცვლელი თამადა იყო.

კოტე ლეგენდად იქცა, მისი ოჯახი უყვარდათ და დღესაც უყვართ არა მხოლოდ გალელებსა და ბზიფსიქითელებს, არამედ აფხაზეთის ყველა შვილს, სრულიად საქართველოს. გალელმა მეგობარმა მამბო ამასწინათ – ენგურიდან ფსოუმდე ვიმგზავრეთო სარეისო ავტობუსით, აფხაზმა მძღოლმა გალის ანსამბლის ძველი ჩანაწერი ჩართო ენგურის პოსტზე და რუსეთის საზღვრამდე არ გამოურთავსო რუსული საგუშაგოების ჩათვლით, თანაც უჩვეულოდ ხმამალლა. კოტე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ სიკვდილის წინა წუთებში თბილისში, კარდიოლოგიის ინსტიტუტში კიდევ ერთი გაუგონარი ამბავი ჩაიღინა: როცა მიხვდა, რომ ამქვეყნიურის დასასრულის უამი დადგა, გედის სიმღერა წამოიწყო, თანაც ისე ომახიანად, რომ მთელი საავადმყოფო დერეფანში გამოეფინა.

ტრაგედია და ტკივილი ბედისწერამ უხვად განუმზადა კოტე ჩიკვატიას ოჯახს. მისი მხოლოდშობილი ვაჟიშვილი ზურაბი, რომელიც 1992-1993 წლებში აფხაზეთის მოვლენების პირველი დღეებიდან იბრძოდა სოხუმში ომის წინა ხაზზე, ძალიან ადრე – 52 წლის ასაკში გარდაიცვალა და თან წაიყოლა მშობლიური კუთხის დარდი. მას მიყვა მისი შვილი კახაც, რომელიც მტკვარმა მიიღო მსხვერპლად.

ამჟამად გალში, აფხაზეთში ძალადობა და სისასტიკე მძვინვარებს. იქაურობას რუსული ტანკების ხმაური და უცხოელთა ყიჟინი აკრთობს. მაგრამ არ მინდა დაგვარგოთ იმედი, რომ ოდესმე ახდება სამურზაყანოელთა ოცნება და მათ მრავალტანჯულ მიწაზე ისევ ერთად იჟღერებს, მეგრული და აფხაზური სიმღერები.

რაფიელ გელანტია
საქართველოს პარლამენტის თანამშრომელი,
ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში,
გალის რაიონული გაზეთის ყოფილი რედაქტორი



ღირსეული ალამიანის ბახსენება

ბატონი კოტე ჩიკვატია ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო იმ შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერ, მაღალი ზნეობისა და კულტურის ადამიანებს შორის, ვინც ჩვენს უახლოეს წარსულში გალში, აფხაზეთის ამ ერთ-ერთ ულამაზეს და უმდიდრეს კუთხეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი ბევრი გალელის და, მათ შორის, მამაჩემის, ძიკა ციტავას მეგობარი იყო. 60-იან წლებში ზამთრის ერთ ღამეს სოფელ ბედიიდან ოჯახში სტუმრად გვეწვივნენ დედაჩემის ბიძაშვილი ტერენტი ქოლარია და მამიდაშვილი აქვსენტი შაკაია. გაიშალა სუფრა. მამაჩემის მეგობრებიდან სუფრას კოტე ჩიკვატია, კიკი ძანძავა და ბიძაჩემი ბიჭიკო ყოლბაია ესწრებოდნენ. თამადა ბატონი კოტე გახლდათ. მამაჩემისა და ბატონი კიკის გარდა ყველანი მომღერლები იყვნენ. მთელი საღამოს მანძილზე ისინი ერთმანეთს მეგრულ-აფხაზური სიმღერების შესრულებაში ეჯიბრებოდნენ. განსაკუთრებით კოტე და ტერენტი გამოირჩეოდნენ. კარგად მახსოვს, სუფრის ბოლოს როგორ ადღეგრძელა ტერენტიმ კოტე: „შენ, ჩემო კოტე, ნაღდი სამურზაყანოელი კაცი ხარ, პირველი ხმის განუმეორებელი, უბადლო მომღერალი. იცოდე, დღეს შენ ჩემზე უკეთესი იყავი!“

კარგად მახსოვს კინოფილმ „კოლხური სიუიტი“ გადაღება. ზოგიერთი სიუჟეტის გადაღება თითქმის სამ თვეს გრძელდებოდა, უამრავი ხალხი იყო ჩამოსული თბილისიდან. მე რეჟისორების, გადამღები ჯგუფისა და ფილმში მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა მევალებოდა. ფილმს უნდა აესახა აფხაზეთის ცხოვრება, სამურზაყანოს წესი და ადათი, მათ შორის, ქორნილი. ბატონ კოტეს ფილმში დიდი დატვირთვა ჰქონდა — რეჟისორი მას ძალიან ხშირად აჩვენებდა კადრში, რადგან ნამდვილი პროფესიონალი მსახიობივით ასრულებდა მის ყველა დავალებას, რითაც ყველას ანცვიფრებდა. ვისაც „კოლხური სიუიტა“ ნანახი აქვს, ყველა დამეთანხმება, რომ იგი მართლაც ყველასგან გამორჩეულია ამ ფილმში.

ასევე გამორჩეული ადგილი ეკავა მას გალის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც — დიდი წვლილი შეიტანა გალის ანსამბლის შექმნაში, იყო მისი პირველი მომღერალი და ასევე ლოტბარი. აღსანიშნავია ბატონი კოტეს დიდი ძალისხმევა გალში საცხენოსნო სპორტის განვითარებაში, წლების განმავლობაში თვითონ ედგა სათავეში მის მიერვე დაარსებულ საცხენოსნო სკოლას.

ბატონი კოტე ბუნებისგან განსაკუთრებული თვისებებით იყო დაჯილდოებული. არაჩვეულებრივი მოსალმება იცოდა — როგორც კი მიუახლოვდებოდა ქუჩაში შემხვედრ კაცსა თუ მანდილოსანს, შეჩერდებოდა, ფეხს-ფეხზე მიადგამდა, ქუდს მოიხდიდა და ისე ესალმებოდა. ასეთი მოსალმება შინაგანი კულტურით გამორჩეულ ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ.

მუდამ მხსომება ბატონი კოტეს თანადგომა ჩემი ოჯახისათვის მძიმე დღეებში. მე და ჩემი ძმა თბილისში ვსწავლობდით, როცა ერთ უბედურ დღეს დაგვირეკეს გალიდან და სასწრაფოდ გალში ჩასვლა გვთხოვეს. ჩვენ დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ, საღამოს გალში ჩასულეხს, ჭიშკართან თავდახრილი და თვალცრემლიანი შემოგვეგებნენ მამაჩემის მეგობრები კოტე ჩიკვატია, შალვა ჩხოტუა, შალვა კორკელია და შეგვატყობინეს მამის ტრაგიკულად დაღუპვა. გულში ჩავვიხუტეს, გვეფერებოდნენ, გვამშვიდებდნენ და დილამდე არ მოგვშორებინან. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. მამას დასაფლავების დღეს, მის სხვა მეგობრებთან, იონა ჩიკვატიასთან, გუძია ლაკერბაიასთან და შალვა ჩხოტუასთან ერთად შავ პერანგში ჩაცმულმა ბატონმა კოტემ მისასამძიმრებელთა რიგში ოჯახის ნათესავების ბოლოს დაიკავა ადგილი. ამით გამოხატა თავისი ერთგულება და ნამდვილი მეგობრობა ამ ზნეობრივად ამაღლებულმა და ღირსეულმა ადამიანმა.

რუდიკ ცატავა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,
სსრკ და საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, „სსრკ საუკეთესო მშენებელი“

პროფესიონალი მომღერალი

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“
შოთა რუსთაველი

რომ არა ჩვენი სამშობლოს ლამაზი და მდიდარი კუთხის, აფხაზეთის ოკუპაცია დამპყრობთა მიერ, სხვა ღირსშესანიშნავ მოვლენებთან ერთად გალის რაიონის საზოგადოება, ვფიქრობ, ამ ორიოდ წლის წინ დიდი ზემოთ აღნიშნავდა აფხაზეთის დამსახურებული არტისტის, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლის — ბატონ კოტე ჩიკვატიას დაბადებიდან ასი წლისთავს.

სწორი იყო ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი ვალერიან ზუხბაია, როცა კოტე ჩიკვატიათი იწყებდა იმ გალელი კოლორიტების ჩამოთვლას, რომელთაც თავისი ხასიათით, ბუნებით, სიმღერით, სიტყვაპასუხით ყველას შეაყვარეს თავი.

მისი სამოღვაწეო ასპარეზი ორი მიმართულებით გაიშალა — იგი სიმღერის ტრფიალი იყო, უსიმღეროდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა და უყვარდა საცხენოსნო სპორტი, რომელსაც გალის რაიონში ჩვიდმეტი წელი ედგა სათავეში. მისმა დიდმა სიყვარულმა სპორტის ამ სახეობისადმი რაიონს მთელს საქართველოში გაუთქვა სახელი.

და მაინც, კოტე ჩიკვატია, უპირველესად, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი იყო. მან საქართველოში ცნობილ მომღერალთან და ლოტბართან — კინი გეგეჭკორთან და სხვებთან ერთად 1931 წელს დაარსა გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. გეგეჭკორის შემდეგ, 1938 წლიდან, იგი აკაკი ხარებავასთან ერთად¹, ხოლო 1953-58 წლებში (როცა ბატონი აკაკი ხობის ანსამბლში მუშაობდა), დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა ანსამბლს, იყო მისი უცვლელი სოლისტი. გუნდის რეპერტუარში

¹ ოთარ აკიშბაია. გალი. თბილისი: „სამშობლო“, 2001. გვ.106.

შედიოდა ყველასათვის კარგად ცნობილი სიმღერები „მარე-ბელი“, „მეურემე“, „სიმღერა რუსთაველზე“, „ართი ვარდი“, „თიმ იღბალი მიღუდუო“. ამ სიმღერებს გამორჩეული ადგილი ეკავათ კოტეს, როგორც სოლისტის რეპერტუარში, იგი მათ შეუდარებელ შემსრულებლად იყო აღიარებული. მისი ლამაზი, ბუნებით მომადლებული ხმა ერთნაირად ანიჭებდა მაცოცხლებელ სიამოვნებას მომღერალსაც და მსმენელსაც. აქვე გავიხსენებ მის მეგობრებსა და პარტნიორებს ბაბილინა მარლანიას, შურა ჭელიძეს, ლეონტი შონიას, მეგობრებსა და სხვ.

1955-1957 წლებში გალის კულტურის სახლში ქართულ და კავკასიურ ცეკვებს გვასწავლიდა ცეკვის ჯადოქრად წოდებული ბატონი ხუტა გამისონია. იმ პერიოდში მქონდა ბედნიერება, ხშირად მომესმინა ბატონი კოტეს მიერ შესრულებული სიმღერები როგორც რეპეტიციებზე, ისე ოფიციალურ დათვალიერებებზე. ეს დრო ჩემთვის დაუფინყარია.

კოტე ჩიკვატიას საშემსრულებლო ოსტატობა, განსაკუთრებული ნიჭი და ღვაწლი სათანადოდ დაფასდა — იგი მრავალგზის იყო დაჯილდოებული აფხაზეთისა და საქართველოს, ასევე საკავშირო დათვალიერებებში წარმატებული გამოსვლებისათვის, მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. მის ხელოვნებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ზურაბ სოტკილავა, ანზორ ერქომაიშვილი და სხვ. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ბატონი კოტე 1970 წელს გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში „კოლხური სიუიტი“.

ამ თბილ და გულკეთილ ხელოვან კაცს ოჯახიც შესაფერისი ჰქონდა. მეუღლე — ქალბატონი სულიკო შენგელია მისი სულიერი მეგობარი და ღირსეული დედა გახლდათ. იგი თვითონაც გალის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წევრი იყო, თავისი განუმეორებელი ხმით ამდიდრებდა

ანსამბლის ტემბრულ პალიტრას. კოტეს ერთ-ერთი ქალიშვილი — ლიანა, სილამაზით გამორჩეული, მამის კვალს გაჰყვა და ხელოვნებას ეზიარა. უმცროსი ვაჟიშვილი ზურაბი სპორტის ოსტატი იყო საცხენოსნო სპორტში (ორივე ადრეულ ასაკში დაიღუპა). მეორე ქალიშვილი — რაისა ქარაია (მეუღლის გვარია), მეცნიერებათა დოქტორი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ბატონი კოტე 1981 წლის 16 იანვარს აღესრულა, მაგრამ მისი აუღერებული სიმღერები სამუდამოდ დარჩება ქართული მუსიკალური კულტურის საგანძურში.

სიმონ ზაქარაია

ჟურნალისტი,

აფხაზეთის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

გალის კოლორიტიანი

გალს ყოველთვის ალამაზებდნენ ნიჭიერი, სტუმართმოყვარე, პატრიოტი ადამიანები, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები. მათ უყვარდათ ქალაქი და ქალაქსაც უყვარდა ისინი. ჩემს მეხსიერებას შემორჩა განსაკუთრებული იერის რჩეულ ადამიანთა სახელები.

გალელი კოლორიტების დასახელებას ვინც კოტე ჩიკვატიათი. იგი წარმოშობით ზუდიდის რაიონიდან იყო, სწავლობდა გალის საშუალო სკოლაში. თავისი ხასიათით, ბუნებით, სიმღერით, სიტყვა-პასუხით მან გალში ყველას შეაყვარა თავი, სკოლის დამთავრების შემდეგ გალელი გოგონა – სულიკო შენგელია შეირთო ცოლად და აქვე დასახლდა. არ ვიცი, სად ისწავლა ასე კარგად ცხენოსნობა, მაგრამ ცხადია, რომ კოტე ამ საქმის ოსტატი იყო. ბოლოს საცხენოსნო სკოლის მასწავლებელი და ხელმძღვანელი გახლდათ. სიმღერა კი მისი სტიქია იყო. მახსენდება მისი მონაფეობისდროინდელი ერთი შემთხვევა: კოტე ამთავრებს საშუალო სკოლას, პირველი გამოცდა ქართული წერაა. მან იცის, რომ მასწავლებელი მიხეილ ჯინჯიხაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასვენ ნიშნებს. კოტემ დაწერა თემა სასვენი ნიშნების გარეშე, ქვევით კი დასვა სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი, კითხვის ნიშანი, და ა.შ. ქვეშ მიუწერა: „სასვენო ნიშნებო, თქვენ-თქვენი ადგილებისაკენ ნაბიჯით იარ!“ კომისიის წევრებს ბევრი უცინიათ ნაწერის გასწორებისას და მასწავლებლისთვის უთხოვიათ, დაეწერა კარგი ნიშანი.

1938 წელს, კოტემ ჩემი ძმის - გოგის ქორწილში თავისი სიტყვა-პასუხით ისე მოხიბლა სტუმრები, ჩვენი თბილისელი ნათესავები, რომ ისინი ხშირად კითხულობდნენ მის ამბავს.

დარწმუნებული ვარ, კოტესნაირი ადამიანები არ კვდებიან, ისინი მარად რჩებიან ჭეშმარიტი ერისკაცობის მაგალითად მომავალი თაობებისათვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ვალერიან ზუზბაია
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სიცოცხლე ეროვნული საქმის სამსახურში

ახალგაზრდობაში წილად მხვდა ბედნიერება, საკმაოდ დიდხანს ახლო ურთიერთობა მქონოდა ბატონ კონსტანტინე ჩიკვატიასთან, მემუშავა მის გვერდით და მისი ხელმძღვანელობით. ის იყო საქმიანი, განონასწორებული ადამიანი, უალრესად დახვეწილი მანერებით, მაღალი ღირსებისა და ზნეობის, დიდი ინტელექტის მქონე კოლორიტული პიროვნება. დღესაც თვალწინ მიდგას სიცოცხლეშივე ბულბულად აღიარებული ადამიანის ნათელი, ღიმილიანი სახე. მისთვის სიმღერა, ალბათ, შინაგანი მოთხოვნილება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა მან ადრიდანვე შეიყვარა და მისი სამსახური თავისი მოღვაწეობის ასპარეზად გაიხადა, არასოდეს უღალატია ეროვნული საცხენოსნო სპორტისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მან მთელი თავისი სიცოცხლე ამ ორ საქმეს – ქართული ხალხური სიმღერისა და ეროვნული საცხენოსნო სპორტის განვითარებასა და პოპულარიზაციას მიუძღვნა.

სწორედ ბატონი კოტეს ძალისხმევით ჩამოყალიბდა გალში 1960 წელს საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტული სკოლა, რომლის უცვლელი დირექტორი იყო იგი 17 წლის განმავლობაში. ამავე დროს ის ხელმძღვანელობდა ახალგაზრდების მომზადებას ეროვნულ სახეობებში და საოცარი ენთუზიაზმით მუშაობდა ახალგაზრდა სპორტსმენებთან.

ჩემსავით კარგად, ალბათ, არავინ იცის, თუ რამდენი სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონი აღუზარდა ქვეყანას ამ სულმნათმა ადამიანმა. ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ: 1962 და 1965 წლებში თბილისში და ალმა-ატაში ჩატარებულ საკავშირო შეჯიბრებებზე ბატონი კოტე ხელმძღვანელობდა საქართველოს ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში მას ჰყავდა ჯუმბერ კვეცივესკირი, ალამ ჩხაპელია და თქვენი მონა-მორჩილი. 1965 წელს მოსკოვის

ჩემპიონატზე ჩემპიონები გავხდით ლივტიერ ლემონჯავა და მე. 1967 წელს ჩემპიონატი ეროვნულ სახეობებში როსტოვში ჩატარდა. საქართველოს ნაკრები კვლავ ბატონ კოტეს ხელმძღვანელობით გამოდიოდა. ამჯერად გალის სპორტსკოლიდან მის შემადგენლობაში იყვნენ მარდონ და ნუგზარ ლაბაშიები, დაზმირ და ჭიჭიკო ქეცბაიები, ჯუმბერ კვეკვესკირი და ენვერ ჯაფარიძე. ამ ჩემპიონატში მათ მესამედ დაამარცხეს ჩვენი ნაკრების ძირითადი მონინალმდეგე – სომხეთის ეროვნული ნაკრები. სხვათა შორის, 1968 წელს საქართველოს ნაკრები სხვა შემადგენლობით გაემგზავრა შეჯიბრზე და სწორედ სომხეთის ნაკრებთან დამარცხდა. 1969 წელს კვლავ ბატონი კოტე ედგა გუნდს სათავეში და მისმა დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო – ნუგზარ ლაბაშია მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კლასიკურ სახეობებში, ხოლო მარდონ ლაბაშია, ზურაბ ჩიკვატია და ნუგზარ ლაბაშია – სპორტის ოსტატები. ასევე საკავშირო სპორტის ოსტატის ტიტული მოიპოვა ენვერ ჯაფარიძემ 1971 წელს.

ჩემი ძმა - ნუგზარ ლაბაშია 20-ჯერ გახლდათ საქართველოს ჩემპიონი; მეც ასევე მრავალჯერ საქართველოს ჩემპიონი და საპრიზო ადგილის მფლობელი გახლდით; მრავალჯერ საქართველოს ჩემპიონები იყვნენ: ენვერ ჯაფარიძე, ზურაბ უბილავა, ლივტიერ ლემონჯავა, ჭიჭიკო ქეცბაია, ჯუმბერ კვეკვესკირი, ბოჩია აბლოთია, ილიკო ქვაცაბაია, დაზმირ ქეცბაია. ჩვენი წარმატებები ჩვენი აღმზრდელის – ბატონი კოტეს დიდი დამსახურება გახლდათ.

1965 - 1975 წლებში გალში აღლუმებს კოტე ჩიკვატია და ნესტორ ხორავა უძღვებოდნენ თავიანთი ჯიშის ცხენებით. ბატონი კოტე თავისი სპორტსკოლის ცხენებით მონაწილეობდა არა მარტო „კოლხურ სიუიტაში“, არამედ მხატვრულ ფილმებშიც: „მთვარის მოტაცება“, „მაცი ხვითი“ და „ჭაკვი აძბა“.

ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება ბატონ კოტეზე, კაცზე, რომელმაც მთელი სიცოცხლე ეროვნული საქმის სამსახურს შეაღწია. მისი მოღვაწეობა მხოლოდ ქართული ხალხური სიმღერების შეგროვება-განვითარებით არ შემოფარგლულა, მისი საზრუნავი ქართული საცხენოსნო სპორტის ეროვნული სახეობების გადარჩენა-დამკვიდრებაც იყო და ვფიქრობ, რომ მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ მისიას. იგი სამურზაყანოელთა მესხიერებაში სამუდამოდ დარჩება, როგორც დიდი მამულიშვილი – თავისი ხალხის მოსიყვარულე, კეთილშობილი, ერთგული, უბოროტო და უღალატო ადამიანი.

მარდონ ლაბაშია
სპორტის ოსტატი,
საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი



დაუპინჯარი მოგონება

1946-47 წლებში გალის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ვმუშაობდი და პარტნიორობას ვუწევდი ისეთი მაღალი რანგის მომღერალს, როგორც ბატონი კოტე ჩიკვატია იყო.

ეს ის პერიოდი იყო, როცა გალის ანსამბლს უკვე ბატონი აკაკი ხარებავა ხელმძღვანელობდა და მას მრავალი ბრწყინვალე მომღერალი ამშვენებდა, მათ შორის, ბორის აქუბარდია, ლეონტი შონია, მეგო ხორავა, ბოჩია ხვიჩია, ბიჭიკო მარლანია, ზინა დემურია, ნინა კვეკვესკირი და სხვ. ეს ომის შემდგომი წლებია. მაშინ გალში კულტურის სახლიც კი არ იყო და მუშაობა ძალიან მძიმე პირობებში გვიხდებოდა. ხშირად შევკრებილვართ ბატონ კოტესთან ოჯახში და ბევრი ახალი სიმღერა დაგვიმუშავებია. „სიმღერა შოთა რუსთაველზე“ პირველად სწორედ აქ მოვისმინე კოტესა და დედამისის, ქალბატონ ნატაშას შესრულებით გიტარაზე. აკაკისა და კოტეს მიერ დამუშავებული მეგრული სიმღერები „ურმული“, „მარებელი“, „რუსთაველი“, „ართი ვარდი“, „თიში იღბალი მიღუდლო“, „თამადა“ და სხვა ნამდვილად ამშვენებდა ანსამბლის რეპერტუარს, ხოლო კოტე მათი უცვლელი შემსრულებელი იყო.

არა მარტო სიმღერა, მას მეგრული ლექსების მხატვრული კითხვაც უყვარდა ძალიან. იყო კეთილი, იუმორით სავსე, ინიციატორი და სულისჩამდგმელი ბევრი კარგი ნამონწყებებისა. ამით იყო განპირობებული ესოდენ დიდი სიყვარული გალელებისა და, არა მარტო გალელებისა, მისადმი.

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი შემთხვევა. 1947 წლის ზაფხულში გასტროლები გვექონდა გაგრაში. ბოლო კონცერტი სანატორიუმ „ცეკა-უკრაინაში“ ჩავატარეთ და დიდი მოწონებაც დავიმსახურეთ. კონცერტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე მომღერალი — აკაკი ხარებავა, კოტე ჩიკვატია, ლეონტი შონია, ბორის აქუბარდია, მოცეკვავე ბავშვი იგორ

გითოლენდია და მე, თქვენი მონა-მორჩილი, გამოგვარჩიეს და წაგვიყვანეს განთიადში, დასასვენებელ სახლ „პელენკოში“, სადაც ისვენებდნენ სტალინის შვილები — ვასილი და სვეტლანა. სტალინის ქალ-ვაჟს ჩვენი სიმღერები ძალიან მოეწონათ. შემდეგ მიგვიწვიეს ბანკეტზე, ისინი შემოვიდნენ, მადლობა გადაგვიხადეს ლამაზი სიმღერებისთვის, დაგვლოცეს, წარმატება გვისურვეს და წავიდნენ.

1949 წლიდან უკვე სოხუმში ვმუშაობდი, მაგრამ დაუპინჯარ მოგონებად დამრჩა ჩემი პირველი ნაბიჯები გალის შემოქმედებით კოლექტივში ბატონ კოტესთან ერთად.

ბაბილინა მარლანია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
დამსახურებული არტისტი

მე

ძალიან ძნელია ისაუბრო ისეთ ადამიანზე, როგორც ბატონი კონსტანტინე პეტრეს ძე ჩიკვატია იყო. მოყვასის უშურველად მოყვარული, მეგობრობის წმინდა გრძობის ერთგული, ლამაზი და მტკიცე ოჯახის თავყვანისმცემელი, კოლხური წეს-ადათის დამცველი და სამურზაყანოს სულისკვეთების მატარებელი – აი, ასეთი მახსოვს ბატონი კონსტანტინე.

ჩემი მშობლები ბატონი კოტესა და ქალბატონი სულიკოს სიყრმის მეგობრები იყვნენ და მათთან ურთიერთობით ამაყო-ბდნენ. მათ სტუმრობას ჩვენთან სიმშვიდე და ხვალინდელი დღის იმედი შემოჰქონდა. ისინი ჩვენი ოჯახის ტრაგედიის გამზიარებლები იყვნენ.

ძალიან ბევრს მიყვებოდა ბატონ კოტეზე ჩემი უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა მეუღლის — ნიკოლოზის (ხუნტულის) დედა, ქალბატონი მავრა ჭიჭინაძე-ხუნჯგურუა. მინდა მოკრძა-ლებით გავიხსენო მისი მონაყოლი:

„ეს იყო 1941 წელს. ჩემი ძმა, კონსტანტინე გიორგის ძე ჭიჭინაძე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუ-შაობდა. მე მასთან ვიყავი ჩასული ქ. სოხუმში. ჩემს ძმას ძალიან უყვარდა მეგობრები. ერთ-ერთ საზეიმო ვახშამზე მასთან სტუმრად იმყოფებოდნენ ბატონი ტარას რიგვავა, მეუღლე ვერა რიგვავასთან და მეგობრებთან – კონსტანტინე ჩიკვატიასა და კონდრატე ხუნჯგურუასთან ერთად. ამ ადამიანებს, ნამდვილ ქართველებს, ძალიან უყვარდათ სამურზაყანო, საბედიანოს კოლხური მიწა. ქალბატონ ვერას ბატონ კონსტანტინესთვის საიდუმლოდ უთქვამს – ჩვენი მეგობარი კონდრატე ხუნჯგურუა შესანიშნავი პიროვნებაა და შევახვედროთ იგი ქალბატონ მავრასო. დატრიალდნენ, თურმე და საქმეს თავი მოაბეს. საზეიმო ცერემონიალით წამომიყვანეს ჩემი ძმის სახლიდან. საქორწილო სუფრას ესწრებოდა მწერალი დიმიტრი გულია,

რომელმაც საჩუქრად გამომატანა მის მიერ აფხაზურად თარ-გმნილი „ვეფხისტყაოსანი“ თავისი ავტოგრაფით. ქორწინებიდან სამი თვეც არ იყო გასული, გამოცხადდა ომი. იმ დროს ჩემი მეუღლე გალის რაიონის მთავარი ექიმი იყო. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული, იგი ერთი წუთითაც არ შეყო-ვნებულა, წინ გაუძღვა აფხაზეთიდან ომში მიმავალ №477 ბატალიონს სამშობლოს დასაცავად. გამგზავრების წინ კონ-დრატე და კონსტანტინე კარგა ხანს საუბრობდნენ აივანზე. იმ დღიდან ბატონ კონსტანტინეს ჩვენი ოჯახი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ჭირსა თუ ლხინში ჩვენი ოჯახის თანამდგომი იყო. ის ძალიან განიცდიდა ჩემი მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგვას ქერჩის მისადგომებთან. მას შემდგომ ჩვენს ოჯახებს მუდმივად ურთიერთპატივისცემა და მეგობრობის დიდი სიყვარული აკავშირებდა“.

ტრადიცია ახალგაზრდებმაც გააგრძელეს – ისინი წარსუ-ლის ფესვებით იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, ძალიან უყვარდათ პატარა, ნალკოტივით ეზოში გართობა და თამაში.

ბატონ კონსტანტინესთან მამაჩემი, ივანე მარლანიაც მეგო-ბრობდა. ჰქონდათ საქმიანი ურთიერთობა, პატივს სცემდნენ და ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს, მახსოვს მამას სიტყვები — კოტეს ეზო-კარი, რომელშიც კოლხური სული ბუდობს, მოქარგული ბალნარი გეგონება ადამიანსო.

ჩემი მეუღლის გარდაიცვალების შემდეგ კონსტანტინე ჩი-კვატია ჩვენი ოჯახის გაჭირვების ტალკვესი იყო, ცდილობდა დამძიმებული სულისთვის იმედები მიეცა. მახსოვს, უკანასკნელ წუთებში როგორ გვანუგეშებდა სასონარკვეთილებს, როგორ სურდა ჩვენი მძიმე დღეების შემსუბუქება, როგორ ცდილობდა ჩვენი კუთხის წეს-ჩვეულების დაცვას.

ისიც მახსოვს, როგორ ფრთხილად, სულგანაბული შემო-დიოდა ბატონი კონსტანტინე ჩვენს ოჯახში, ნამდვილი კოლხური პენით, ცისფერ ბლუზასა და „აზიაცკებში“ გამო-

წყობილი კეთილშობილებით სავსე ადამიანი, რომლის ცხოვრების მრწამსი მოყვასის სიყვარული იყო.

ძალიან გვიყვარდა მისი ლამაზი, ხავერდოვანი ხმით შესრულებული სიმღერები — „კუჩხი ბედინერი“, „მარებელი“ და მრავალი სხვა. ჩვენ გვეამაყება, როცა ტელევიზიით უჩვენებენ „კოლხურ სიუიტას“, რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირი კონსტანტინე ჩიკვატიაა. ეს საგანძური გალელებს, სრულიად აფხაზეთს შემორჩა როგორც წარსული დიდების ნაშთი.

„ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუ კი გასურს გახდეს ადამიანად“.
(მამია გურიელი)

დალი მარლანია-ხუნჯგურუა
აფხაზეთის კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკი



შტრიხები პორტრეტისათვის

ქართული სიმღერის უბადლო შემსრულებელი კოტე ჩიკვატია გახლდათ კოლორიტული ფიგურა, რომელიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა მშობლიური გალის საზოგადოებაში. ამ მრავალმხრივად განათლებულმა პიროვნებამ ღვთით ბოძებული ნიჭი, უპირველეს ყოვლისა, ვოკალურ ხელოვნებაში გამოავლინა. წლების განმავლობაში ის იყო ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის გალის რაიონული ანსამბლის გამორჩეული და სწორედ რომ შეუცვლელი სოლისტი. ასეთად იცნობდნენ ბატონ კოტეს როგორც აფხაზეთსა და სამეგრელოში, ასევე მთელს საქართველოში.

ერთ მაგალითს მოვიყვან. ანსამბლის რეპერტუარის მშვენიება იყო პოპულარული მეგრული სიმღერა „მარებელი“, მაგრამ თუ კი კოტე ჩიკვატია რაღაც მიზეზის გამო კონცერტში არ მონაწილეობდა, გუნდი, როგორც წესი, ამ სიმღერას არ მღეროდა, რადგან შესრულებას აკლდებოდა ის პენი, მისი ხმა და ვოკალური ოსტატობა რომ მატებდა ამ მართლაც-და უნიკალურ ხალხურ ქმნილებას.

მაგრამ იგი ცნობილი იყო არა მარტო როგორც ხელოვანი. საზოგადოებას ბატონი კოტე ახსოვს, აგრეთვე, როგორც შესანიშნავი სპორტსმენი-ცხენოსანი. მისი და კიდევ რამდენიმე ნიჭიერი ვაჟკაცის წყალობით, გალის რაიონს ცხენოსნობაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ყავდა საქართველოში.

კოტეს ზურგს უმაგრებდა სამურზაყანოსა და მის ფარგლებს გარეთ ტრადიციული სტუმართმოყვარეობით ცნობილი ოჯახი. გალში გასტროლებზე ხშირად ჩამოდიოდნენ შემოქმედებითი კოლექტივები თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან. ისინი, როგორც წესი, მისი ოჯახის სტუმრებიც იყვნენ. ალბათ, უფროსი თაობის ბევრ გალელს ახსოვს აკაკი ხორავას სტუმრობა. სპექტაკლის შემდეგ რუსთაველებს კოტე ჩიკვატიას ოჯახი მასპინძლობდა. სწორედ აქედან გააცილეს დიდი ხელოვანი საზღვარგარეთ, სკანდერბერგის კინოროლში გადასაღებად.

ბატონი კოტე გამორჩეული იყო შინაგანი კულტურითა და დახვეწილი გემოვნებით. ნაცნობს თუ სრულიად უცნობს არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია ქალაქში გამოსული ამ კობტა და ტანადი კაცისათვის. მას ყოველთვის ლამაზად ჩაცმა ჩვეოდა. მართლაც, რომ უხდებოდა „აზიაცკები“, მუქი ფერის გალიფეს შარვალი და ბლუზა, წელზე შემოკრული ვერცხლით განწყობილი ქამარი. გამოირჩეოდა მოწინებებითა და გულთბილი მისალმებით, სიტყვა-პასუხითა და განსაკუთრებული სიარულის მანერითაც კი.

კოტე ჩიკვატიამ ხალხს თავი იმითაც დაამახსოვრა, რომ ღვინვა თუ ჭირში ყოველთვის დაუზარელად და ალაღად ედგა გვერდში ნათესავებსა და მეგობრებს, მეზობლებსა და ნაცნობებს.

ბატონმა კოტემ და მისმა მეუღლემ, სათნოებით გამორჩეულმა ქალბატონმა სულიკომ მამა-პაპისეულ ტრადიციებზე გაზარდეს შვილები: უფროსმა ქალიშვილმა ლიანამ, ამ ქვეყნიდან ადრე წასვლის მიუხედავად, თავისი კვალი დატოვა, როგორც მოცეკვავემ და თეატრალური დასის წევრმა. სწორედ მასზე თქვა გურამ სეჩენიამ თავის ცნობილ ლექსში „პლეადა“: „ანყვეტილ ლერწამს ლიანა ჰგავდა“, ქალბატონი რაისა ჩიკვატია-ქარაია მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ანგანსვენებული ზურაბ ჩიკვატია, რომელიც მამის კვალს გაყვა, ხალხური სიმღერისა და ცეკვის გალის რაიონული ანსამბლის სოლისტი-მოცეკვავე და სპორტის ოსტატი იყო ცხენოსნობაში.

კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება ამ ნიჭიერი და არაორდინალური პიროვნების შესახებ. ერთს ვიტყვი – ისეთი ადამიანები, როგორიც იყო ბატონი კოტე ჩიკვატია, თავისი ცხოვრების წესით, განვლილი გზითა და დამსახურებით, სამაგალითო წესიერებითა და კულტურით, წარუშლელ კვალს ტოვებენ ჩვენს მეხსიერებაში.

რამინ ქეცბაია.
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,
ჩიკვატიების ოჯახის მეგობარი

ბელნიერი შიმთხვევა

1973 წელია, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დავა-მთავრე და ვბრუნდები ჩემს მშობლიურ სოხუმში.

მატარებელი „თბილისი-სოხუმი“ წელი სვლით გამორდა სადგურს. მცხუნვარე წითელი დისკო კარგა ხანია ჩაქრა, მაგრამ მაინც ცხელოდა.

მატარებლის ბორბლების რიტმული კაკუნი ერთობ სევდა-ნარევი მონოტონურობით მთარღვევდა ბნელეთს. სიმარტოვისა და მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად მოვიშველიე ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას“ პარტიტურა. მისი თვალიერებით გართულს, მეზობელი კუბედან შემომესმა ჩუმი ლილინი - ეს იყო ღვთაებრივი „ლილეოს“ მომავადობელი ჰანგი. „ლილე“ უძველესი შუმერულ-სვანური ჰიმნია. შუამდინარეთის შუმერების ღვთაებათა შორის „ენ ლილ“ მოიხსენიება ჰაერის ღვთაებად. ეს არის იგივე სვანური ლილე. ბიბლიური სივრცეიდან ჩვენამდე მოსული ეს საგალობელი ერთ-ერთი უპირველესია დედამიწაზე.

ჩემი უცნობი მეზობლები ორ ხმაში გალობდნენ, ბანის გარეშე. მე საჩქაროდ მივაშურე მათ და ყოველგვარი მობოდიშებისა და მისალმების გარეშე მივაშველე მესამე ხმა. დასრულდა თუ არა ბოლო კუბლეტი, უნებურად გადავეხვიეთ ერთმანეთს. ეს იყო ერთსულად მოქცევის, ერთარსად ქმნის საოცარი წამი. ახლადშეძენილი სულიერი ნათესავები ჩემზე დიდად უფროსები იყვნენ. ერთმა მათგანმა არ დაახანა და გულ-თვალანთებულმა მკითხა: „მიშ რექ სქუა, სი“ (ვისი ხარ შვილო, შენ). სერაპიონ ოკუჯავასი, – შევაგებე მე. ჩვენი ძმისშვილი ყოფილხარ ყმანვილო... და ისევ გადამეხვივნენ.

მე ვარ აკაკი ხარებავა, გალის რაიონული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ეს კი ბატონი კოტე ჩიკვატიაა, ჩვენი ბუღბუღი, ანსამბლის პირველი ხმა და შეუცვლელი სოლისტი.

ჩვენ ვიცოდით, განაგრძო ბატონმა აკაკიმ, რომ სერაპიონის შვილი სწავლობდა კონსერვატორიაში, და აი, ღმერთმა სად შეგვახვედრა – ნამდვილად ბედნიერი შემთხვევაა. მადლობა უფალს. შვილო, მამაშენის დედა ხარებავა იყო, ასე რომ, ჩვენში ერთი სისხლი მდინარობს – კვლავ მომეფერა ბატონი აკაკი.

როგორც მან ბრძანა, ისინი გალში ბრუნდებოდნენ თბილისში ჩატარებული რესპუბლიკური მნიშვნელობის ფესტივალიდან, სადაც გალის ანსამბლმა უმაღლესი შეფასება მიიღო.

ჩემი მათთან ბედნიერი თანამგზავრობა დასრულდა იმით, რომ ბატონმა აკაკიმ გამანდო ანსამბლის სამომავლო გეგმები: კერძოდ, იმავე წლის შემოდგომაზე მოსკოვში ტარდებოდა საკავშირო კონკურს-ფესტივალი, რომელზეც გალის ანსამბლი იყო მინვეული. ბატონმა აკაკიმ მოხოვა ორი რუსული სიმღერის მომზადება გალის გუნდთან. ჩემი იქ ჩასვლა ზემს ემსგავსებოდა. ანსამბლი დაკომპლექტებული იყო უმაღლესი რანგის პროფესიონალებით. მათი ნიჭი და ხალხური სიმღერის საოცარი ცოდნა შეუძლებელს მაკეთებინებდა.

გალში მუშაობის დროს დაეუახლოვდი ბატონ კოტე ჩიკვატიას. ბედნიერება იყო მის გვერდით ყოფნა. მას გამოარჩევდა განსაკუთრებული სულიერი სინამდვილე, იყო არაჩვეულებრივად ადამიანური და მომფერებელი, დიდი მასწავლებელი და ენატკბილი მოუბარი – სწორედ ასეთი ბუნების ადამიანს შეეძლო ემღერა ისე, როგორც იგი მღეროდა.

სიმფონიურ ორკესტრში პირველი ვიოლინო ორკესტრის მეფედ ითვლება. ასევე, გალის დიდებული ანსამბლის პირველი ვიოლინო, პირველი ხმა და მეფე იყო ბატონი კოტე. მას ჰქონდა ხავერდოვანი ლამაზი ტემბრი — მაღალი, უსაზღვრო შესაძლებლობის ბგერა. როგორც სოლისტი, ის იყო შეუდარებელი. ლეგენდარული ნოკო ხურციას შემდეგ „ჰარიას“ ნამდვილი შემსრულებლის პოვნა რთულია. ასევე ძალიან ძნელია ბატონი კოტე ჩიკვატიას შემდეგ იმღერო „მარებელი“. სწორედ ეს არის რჩეულთა ხვედრი. ბატონი კოტე

უკვდავია, იგი იმ მარადიულის ნაწილია, რომელსაც ქართული ხალხური სიმღერა ჰქვია. სწორედ ასეთი რანგის შემოქმედთ უნდა ვუმაღლოდეთ უნიკალური ეროვნული მუსიკალური მემკვიდრეობის მოტანას ჩვენს თაობამდე. შემთხვევითი როდია, რომ ამერიკელებმა კოსმოსში გაგზავნეს კახური „ჩაკრულო“, როგორც მინიერი ცივილიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში.

კოტე ჩიკვატია არა მარტო ბრწყინვალე მომღერალი იყო, არამედ შესანაშნავი ლოტბარიც. აკაკი ხარებავასთან ერთად მის მიერ დამუშავებული მრავალი სიმღერა („მეურემე“, „მარებელი“, „ართი ვარდი“, „ერთხელ მხოლოდ ისიც ძიღში“, „თამადა“ და სხვა) ღირსეულად ამშვენებდა გალის დიდებული ანსამბლის რეპერტუარს. ამ ანსამბლის გარეშე სოხუმში არც ერთი საზეიმო ღონისძიება არ ტარდებოდა. ეს უმთავრესად განპირობებული იყო იმით, რომ ჩვენ მაღალმხატვრულ დონეზე ვასრულებდით აფხაზურ სიმღერებს, რაშიც, უდავოდ, დიდი იყო უბადლო სოლისტის, ბატონი კოტე ჩიკვატიას წვლილი. ეს არაერთხელ უღიარებიათ ავტორიტეტულ აფხაზ მუსიკოსებს.

ხმის გამორჩეული ტემბრული პალიტრა და სიმღერის თავისებური მანერა... ეს ის მახასიათებლებია, ბატონ კოტე ჩიკვატიას ფენომენის განსაკუთრებულობას რომ შეადგენდა და განუმეორებლობას ანიჭებდა მის მიერ შესრულებულ ხალხურ შედეგებს.

ვეზდენ ოკუჯავა
საქართველოს დამსახურებული არტისტი,
„საფრანგეთი 98“-ის ორი საერთაშორისო „გრან-პრის“ მფლობელი,
ღირიჟორი



ქვეყნის ჭეშმარიტი მსახური

არა მარტო სამურზაყანოში, არამედ მთელ აფხაზეთსა და სამეგრელოში საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი პიროვნება ბატონი კოტე ჩიკვატია და მამაჩემი, ანდრო ჭანტურია, თანაკლასელები იყვნენ. მამაჩემი გალის მკვიდრი არ ყოფილა, იგი წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში დაიბადა 1909 წელს ღარიბი გლეხის მრავალშვილიან ოჯახში. შესაძლოა, აფხაზეთის საზოგადოებრიობისთვის ინტერესმოკლებული არ იყოს, რომ ეროვნული მოძრაობის ცნობილი მოღვაწის ვოვა ვეკუას დედა, დამსახურებული პედაგოგი, წლების მანძილზე სოხუმის მე-ნ საშუალო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ვალია ჭანტურია და მამაჩემი ღვიძლი და-ძმანი იყვნენ.

იმ ხანად ჯვარში საშუალო სკოლა არ იყო და შვიდწლედის დამთავრების შემდეგ მამა სწავლის გასაგრძელებლად გალში ჩასულა, სადაც თავისი ახლო ნათესავის, ბიჭიკო მარღანიას ოჯახში ცხოვრობდა. იქვე დაამთავრა 9-წლედის, რომელსაც იმდროისათვის საშუალო სკოლის სტატუსი ჰქონდა. დიდი ხნის მერე, უკვე 50—60-იანი წლებიდან მოყოლებული, თანაკლასელები სისტემატურად იკრიბებოდნენ სკოლის დამთავრებიდან მრგვალ თარიღებთან დაკავშირებით და ყველა ამ შესვენრათა გულლია მასპინძელი, როგორც წესი, სწორად კოტე ჩიკვატიას დიდებული ოჯახი იყო.

ცნობილი ფაქტია, რომ დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში, ვიდრე ნ. ხრუშჩოვის ავანტიურამდე, მთელს საქართველოში საცხენოსნო სპორტი ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ თვით ფეხბურთსაც კი უწევდა კონკურენციას. ცხენოსნობაში, ტრადიციულად, ტონის მიმცემი იყვნენ სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიის, აგრეთვე ნაწილობრივ იმერეთისა და აჭარის რაიონები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საცხენოსნო სპორტში რესპუბლიკური პირველობა, გარკვეული აზრით, ეროვნული დღესასწაულის რანგში იყო აყვანილი და მუდამ საზეიმოდ ტარდებოდა.

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, რომ გალის რაიონს ათეული წლების მანძილზე საცხენოსნო სპორტში უძლიერესი

გუნდი ჰყავდა, რომელიც რეალურ კონკურენციას უწევდა ისეთ ტრადიციულ რაიონებს, როგორც იყო გუდაუთის, ზუგდიდის, სენაკის, ოჩამჩირის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, სამტრედიის რაიონები, აგრეთვე ქალაქი ფოთი და ქალაქი ქუთაისი. სწორედ კოტე ჩიკვატია იყო ამ პერიოდში გალის რაიონში საცხენოსნო სპორტის უპირველესი ჭირისუფალი. ამ დაუოკებელი ენერგიის მქონე კაცმა, რომელსაც სისხლში ჰქონდა გამჯდარი ცხენოსნობისადმი უდიდესი სიყვარული, ფასდაუდებელი ამაგი დასდო რაიონში ცხენოსნობის განვითარებას.

საცხენოსნო სპორტისადმი ფანატიკური დამოკიდებულება ბატონი კოტეს მრავალმხრივი მოღვაწეობის მხოლოდ ერთი ნაწილია. მას არანაკლებ დიდი შრომა აქვს განეული ისეთ ეროვნულ საქმეში, როგორც არის ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია.

როგორც თანამდებობის პირს, ჩემი ცხოვრების მანძილზე, ბედნიერება მქონდა ახლოს ვყოფილიყავი საცხენოსნო სპორტის, ფეხბურთისა და ხალხური შემოქმედების საკითხებთან, ამიტომ კარგად ვიცი, როგორ უშურველად მოახმარა ბატონმა კოტემ — ამ თხემით ტერფამდე ქართველმა კაცმა, — მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ხალხური შემოქმედებისა და ცხენოსნობის განვითარების უაღესად რთულ, შრომატევად და მომქანცველ საქმეს.

საქართველოში ოდითგანვე ცხენოსნობა და ხალხური სიმღერა ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული. მე კარგად მახსოვს ომის შემდგომ წლებში დამკვიდრებული ტრადიცია, როცა უშუალოდ შეჯიბრების დაწყებამდე რაიონული ცენტრის ქუჩებს სიმღერით დაუვლიდა ცხენოსანთა მშვენიერი კავალკადა, რომელიც გაძლიერებული იყო მომღერლებით. დიდი მამულიშვილის კალისტრატე სალიას ღვიძლი ძმა — ჩვენს რაიონში ყველასგან პატივცემული ადამიანი, ცნობილი ლოტბარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, რაიონული ანსამბლის ხელმძღვანელი, — ბატონი ვლადიმერ სალია გახლდათ ამ დიდებული სანახაობის სულისჩამდგმელი.

კოტე და ვლადიმერი განუყრელი მეგობრები იყვნენ. მამა-ჩემიც ჩინებული მომღერალი იყო. ბატონი კოტეს მსგავსად, თანაბარი სიძლიერით მღეროდა როგორც ქალაქურ, ისე მეგრულ, გურულ და ქართლ-კახურ სიმღერებს. მათთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა მთელს სამეგრელოში აღიარებულ ცნობილ წალენჯიხელ მომღერალს შოთა ქირიასაც. მისი ყელიდან ამოდოდა ულამაზესი, ხავერდოვანი ხმა. ალბათ, ყველას უნახავს კინოფილმი „მაცი ხვითა“, სადაც ბატონი შოთა იწყებს „დადიანის მოძახილს“. ამასთან, იგი რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი იყო და სამსახურებრივადაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა კოტესთან; ჩრდილოეთ კავკასიის ცხენსაშენებიდან მათ ერთად არაერთხელ ჩამოუყვანიათ ჯიშისანი ბედაურები.

გულსატკენია, რომ, სამწუხაროდ, თითქმის არ დარჩა ამ მომღერლების ჩანაწერები. ერთადერთი ფირი არსებობს ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ ვეკუას ოჯახში, მაგნიტოფონზე ჩანერილი ნო-იანი წლების სოხუმში.

წალენჯიხის რაიონში ბატონ კოტეს უამრავი მეგობარი ჰყავდა ცხენოსნებისა და მომღერლების წრიდან. უპირველეს ყოვლისა, დავასახელებდი ბატონებს: გვეგვე მიქავას, შალვა კვარაცხელიას, ჭიჭიკო კვარაცხელიას, მიტროფანე შელიას, გუგუ ძიძარას, ვალერიან მოლაშხიას, გივი ეგიას და სხვ.

გალის საშუალო სკოლაში ერთად სწავლის გარდა. ბატონი კოტესა და მამაჩემის მეგობრობას დიდ სტიმულს აძლევდა ხალხური სიმღერის დიდი სიყვარული და ინტერესების თანხვედრა ცხენოსნობაში.

იმ წლებში მამაჩემი წალენჯიხაში სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად მუშაობდა და რაიონში საცხენოსნო სპორტის ორგანიზაციულ და ფინანსურ საკითხებს განაგებდა. მას ყოველდღიური შეხება ჰქონდა საცხენოსნო სპორტთან და, ამდენად, უშუალო ურთიერთობა ჰქონდა კოტე ჩიკვატიასთან, რომელიც მეზობელ გალის რაიონში ამ საქმის ხელმძღვანელობდა.

მამას სიცოცხლის ბოლომდე არ გაუნყვეტია კავშირი თანაკლასელებთან. ამ ადამიანებს იცნობდა და აფასებდა არა მარტო სამურზაყანო: გიორგი ზუხბაია, ჯოტო არდაშელია, კოტე ჩიკვატია, ვარლამ ჯეჯეია, აქესენტი მარხულია, ნიკოლოზ კაჭარავა, ვლადიმერ ჯიქია, ნიკოლოზ სოფია, მიხეილ ეზუგბაია, მამია დგებუაძე, აკაკი ზაქარაია, მიხეილ თოლორაია, იონა უბილავა, დომენტი ქირთბაია, ივანე შარია, შალვა ხუბუტია, კაპიტონ ხასაია, მარო ჩიქოვანი, ანეტა აბლოთია, თამარ დარასელია – აი, იმათი არასრული სია, ვისთანაც ჯვარიდან წამოსულმა, სწავლას მოწყურებულმა ღარიბმა ბიჭმა ერთ ჭერქვეშ, ერთ საკლასო ოთახში გაატარა თავისი ცხოვრების უმშვენიერესი წლები.

არც ჟურნალისტი ვარ და არც ცხენოსანი და, მაინც, სპორტის ამ სახეობისადმი ფანატიკურმა სიყვარულმა გადაამადგმევინა თამამი ნაბიჯი – გავაკეთე ცხენოსნობისადმი მიძღვნილი ტელეფილმი. მასში საკმაო ადგილი დაეთმო მთლიანად აფხაზეთისა და, მათ შორის, გალის რაიონის ცხენოსანთა დიდებულ ტრადიციებს. რამდენადაც შემეძლო, მოვეფერე დიდ მამულიშვილს, კოტე ჩიკვატიას – ჩემი უძვირფასესი მამის სიყრმის მეგობარს, უნიკალურ მომღერალსა და ჭეშმარიტ ცხენოსანს, გალის რაიონის სიამაყესა და მის მშვენიებას. ეს ფირი, ჩემი მოკრძალებული ნამუშევარი, ღრმა პატივისცემით ვუსახსოვრე ბატონი კოტეს ასულს, სათნოებითა და კდემამოსილებით სავსე უმშვენიერეს ქალბატონს რაისა ჩიკვატია-ქარაიას.

მჯერა, რომ ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში და გალელები ტელეეკრანზე კიდევ ერთხელ შეხვდებიან ზეციურ საქართველოში გადასულ ცხენოსანთა უმამაცეს კოპორტას, როგორც ყოველთვის, ბატონი კოტეს წინამძღოლობით.

ვალერი ჭანტურია
საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი

კვალი ნათელი

მე გალში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ჩამოყალიბებაც ბავშვობიდან დაიწყო, ოჯახისა და გარშემო მყოფი ადამიანების გავლენით. მინდა ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც ქართული ხალხური სიმღერის რთულ და ბედნიერ გზაზე გამიყვანა. პირველ რიგში, შესანიშნავ საზოგადო მოღვაწეს, მეგრული სიმღერის დიდოსტატს კოტე ჩიკვატიას. სწორედ მან შთამაგონა, ჩავმდგარიყავი ქართული მუსიკალური ფოლკლორის სამსახურში.

ყურში ჩამესმის მისი კრიალა, კამკამა ხმა (ლაპარაკის დროს ცოტა გაბზარული ხმა ჰქონდა), რომელიც არა მარტო გამოირჩეოდა თავისი სილამაზით, არამედ ჰარმონიულად ერწყმოდა ანსამბლის უღერადობას. აკაკი ხარებავა და კოტე ჩიკვატია იყვნენ ამ ანსამბლის ხერხემალი, მის უღელში შებმული ხარები – ჩელა და ბუსკა. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ჩანაწერებს – „მარებელს“, „კუჩხი ბედინერს“, „ჩელას“, „ოდოიას“ და მრავალ სხვა ხალხურ მუსიკალურ შედეგს მოუსმენთ.

ბატონი კოტეს რიდი ანსამბლის ყველა წევრს ჰქონდა. მან უცაბედი აფეთქება იცოდა, მომთხონი, მაგრამ, ამავე დროს, მიმტევებელი და ალერსიანი იყო. მის ხმაში ირეკლებოდა მშობლიური კუთხის მიწისა და მზის სურნელება. მას მრავალგზის მოუტანია უსაზღვრო სიამოვნება, სიხარული და აღტაცება მსმენელისათვის.

ბატონი კოტე უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყველაფერს – თავის ოჯახს და გარე სამყაროს, თავის საყვარელ სიმღერას. მე სწორედ მისი დახმარებით შევიგრძენი ქართული (მეგრული) სიმღერის ჰარმონიულობა, რიტმი და კილოკავი, მის მოხნულ კვალზე გავიარე და დღემდე მას მივყვები.

როცა ბატონ ანზორ კაცსაძის ხელმძღვანელობით შექმნილი ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ვმღეროდი, „კუჩხი ბედინერის“ ჩანაწერი მოვისმინეთ, რომელშიც პირველ ხმას კოტე ჩიკვატია მღერის. როგორც ბატონი ანზორ ერქომაიშვილი ამბობს, სიმღერას თავისი კუთხური იერსახე უნდა შეუნარჩუნდეს, რადგან ამით არის ქართული ხალხური მუსიკა მდიდარიო. მეგრულ სიმღერას თავისი კუთხის განუმეორებელი სურნელი სწორედ კოტე ჩიკვატიამ შეუნარჩუნა.

როცა ამ ქვეყანაზე მყარად დააბიჯებ და ღირსეულად ემსახურები შენს საქმეს, მაშინ ამაყი და ღირსეული პიროვნება ხარ. ასეთები იყვნენ კოტე ჩიკვატია, აკაკი ხარებავა და სხვანი, რომელთა სახელი უკვდავყო ქართული ხალხური სიმღერის დაცვა-შენარჩუნებაში შეტანილმა უდიდესმა წვლილმა.

ჯუმბერ ყოლბაია
საქართველოს დამსახურებული არტისტი,
ღირსების ორდენის კავალერი,
ხალხური მუსიკის მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი

მე

კოლორიტული ადამიანი

გასულ საუკუნეში, 30-იანი წლებიდან და, განსაკუთრებით, მე-2 მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ, საქართველოში უდიდესი ენთუზიაზმი და შემართება შეიმჩნეოდა ეროვნული კულტურისა და თვითმყოფადობის განვითარებისათვის. დიდი ყურადღება ექცეოდა ხალხური სიმღერისა და ცეკვის აღორძინებას. სწორედ ხალხური მუსიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელზე, გალის რაიონში „ბულბულად“ წოდებულ სახალხო მომღერალ კოტე ჩიკვატიაზე მიიხსენიება მოგიტხროთ. ის იყო რაიონში და მთელ საქართველოში ცნობილი ლოტბარი და ხალხური სიმღერების განუმეორებელი შემსრულებელი, თავმდაბალი, არაჩვეულებრივად ზრდილი, ლამაზი და კოლორიტული ფიგურა. ათეული წლების განმავლობაში, სახალხო ლოტბარ აკაკი ხარებავასთან ერთად, იგი ხელმძღვანელობდა გალის რაიონში ხალხური მუსიკის აღორძინებისა და განვითარების საქმეს. მათ აღადგინეს და განუმეორებლად იმღერეს კიდევ არაერთი ძველი მეგრული თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერა.

ბატონი კოტეს თაყვანისმცემლებს კარგად ახსოვთ მის მიერ გაცოცხლებული და უბადლოდ შესრულებული მეგრული ხალხური სიმღერების მარგალიტები – „მარებელი“ და „სისატურა“, რომელთაც მისი შესრულებით უდიდესი პოპულარობა მოიპოვეს. სიმღერების მისეულ მანერას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იერი ხმის ტემბრის განუმეორებლობა გამოარჩევდა. მას საოცრად ტკბილი, როგორც მაშინ ამბობდნენ, „წყაროს წყალივით მოკამკამე“ ტემბრი ჰქონდა. მისი სიმღერა მსმენელში იწვევდა საოცარ აღმადრენასა და სიხარულს, მას ყოველთვის დიდი ოვაციებით აცილებდნენ სცენიდან. გალის რაიონის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი საოცრად ვირტუოზულად ფლობდა ხალხურ მუსიკალურ საკრავებსაც.

სხვათა შორის, გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ხალხური მუსიკის განვითარებას ყოველნაირად უწყობდა ხელს ადგილობრივი ხელისუფლება და პარტიული ნომენკლატურა. არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ პერიოდში გალის რაიკომის პირველი მდივნის, ანტიფო ჭეჟიასა და მეორე მდივნის დამიანე გოგობიას დაინტერესება ხალხური შემოქმედებით. მომდევნო წლებშიც თითქმის ყველა ადგილობრივი ხელმძღვანელი და, მათ შორის, ამირან ქავთარაძე, ბაკურ გულუა, შოთა შარანგია, ვახტანგ ყოლბაია, უდიდეს მონდომებას იჩენდნენ და ხელს უწყობდნენ რაიონში ფოლკლორული ანსამბლების საქმიანობას. შედეგად კი, ხალხური სიმღერისა და ცეკვის გალის რაიონული და ადგილობრივი სოფლების ანსამბლები სისტემატურად მონაწილეობდნენ და იმარჯვებდნენ საკავშირო, რესპუბლიკურ თუ სხვა დონის ოლიმპიადებსა და კონკურსებში.

განსაკუთრებით მიიხსენიება გასული საუკუნის 70-იან წლებში ბატონ ამირან ქავთარაძის ხელშეწყობით გადაღებული მუსიკალური ფილმი „კოლხური სიუიტი“, რომელიც ადგილობრივი ხალხური მუსიკალური ტრადიციების ასახვას ისახავდა მიზნად. ამ ფილმში რაიონის სხვა მომღერლებთან ერთად ხალხური სიმღერების მთავარი შემსრულებელი, ფილმის სიუჟეტის მიხედვით, მარებელი და ქორწილის თამადა ბატონი კოტე იყო.

ხალხური მუსიკით დაინტერესებამ და მისმა უნიკალურმა საშემსრულებლო ოსტატობამ ბატონი კოტე აქტიურად დააკავშირა აფხაზეთის სახალხო მუსიკოსებთან. ის აქტიურად თანამშრომლობდა და მიწვევით ხშირად მღეროდა კიდევ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აფხაზი მუსიკოსი და ლოტბარი რაჟდენ გუმბა. მათი ურთიერთობა კი თვალსაჩინო მაგალითი იყო ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობისა.

ლოტბარი და მომღერალი კოტე ჩიკვატია აქტიურად მონაწილეობდა რაიონის სოფლებში მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლების ჩამოყალიბება-განვითარებაში. აღსანიშნავია მისი და ცნობილი სახალხო მომღერლის, მეგრული სიმღერის „აბა ულას“ და სხვათა უბადლო შემსრულებლის, ჭიჭიკო ჯგუბურიას ურთიერთობა.

ბატონ კოტესთან ერთად ანსამბლში მღეროდა მისი მეუღლეც, არაჩვეულებრივად ლამაზი ქალბატონი სულიკო შენგელია. ორივენი მთელს რაიონში გამორჩეოდნენ თავმდაბლობით, თავაზიანობითა და ინტელიგენტურობით.

გალის რაიონის კოლორიტული და გამორჩეული პიროვნების, ბატონ კოტე ჩიკვატიას გახსენებას, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ახალმა თაობამ უნდა იცოდეს, თუ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები და რას აკეთებდნენ ისინი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ოთარ შენგელია
გალის რაიონის მკვიდრი

აღ

მოგონებები კონსტანტინე ჩიკვატიაზე

აფხაზეთში სამურზაყანო ოდიტგანვე გამოირჩეოდა, როგორც ქართული ტრადიციების, ფოლკლორის, საზოგადოდ, ქართული კულტურული მემკვიდრეობის დამცველი და ქომაგი. ამ კუთხის ერთ-ერთი გამორჩეული ხელოვანი, ხალხური სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი და ლოტბარი გახლდათ კონსტანტინე ჩიკვატია, რომელიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. მას დღესაც მოწინებით იგონებს ყველა, ვისაც ერთხელ მაინც მოუხმენია მის მიერ შესრულებული სიმღერები. ბატონ კოტეს 1976 წელს დაეუახლოვედი, როცა ანსამბლში ვმღეროდი და მქონდა ბედნიერება, მომესმინა მისთვის, შემესწავლა მისგან უამრავი სიმღერა. იგი მამაშვილურად, ტკბილი ენითა და თავისებური ინტონაციით გვიხსნიდა, სულში ჩამწვდომად გვანვდიდა სიმღერის მისეული ვარიანტის ყველა ნიუანსს. თავისი შემოქმედებით მართლაც გამორჩეული, ხშირად გვიყვებოდა თავის პირველ ნაბიჯებზე ხალხურ მუსიკაში. იგი დიდად ემადლიერებოდა ცნობილ ლოტბარს კინი გეგეჭკორს, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩაეყარა მტკიცე საფუძველი გალის რაიონულ ანსამბლს 1931 წელს. კინი გეგეჭკორმა იმთავითვე ანდო მას პოპულარული ხალხური სიმღერების შესრულება. კინი გეგეჭკორის შემდეგ გალის რაიონულ ანსამბლს აკაკი ხარებავასთან ერთად ბ-ნი კოტე ხელმძღვანელობდა. მას სულით ხორცამდე უყვარდა ქართული ხალხური სიმღერა. ეს მისი პროფესია იყო. მის მიერ შესრულებული სიმღერები: „ჰარირა“, „გებშვათ ღვინი“, „მარებელი“, „ართი ვარდი“, „რუსთაველი“ და სხვა, შესრულების მანერითა და ტემბრით შეუდარებელი იყო. ბატონ კოტეს თავისი ხელწერა ჰქონდა ყველა სიმღერაში.

გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც მონაწილეობდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა თუ საქართველოს დედაქალაქში მოწყობილ ოლიმპიადებში, ფესტივალებსა და დათვალიერებებში, ყოველთვის უმაღლეს

შეფასებას იმსახურებდა. რეპერტუარში მეგრულ და აფხაზურ სიმღერებთან ერთად შედიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის – იმერული, სვანური, ქართლ-კახური, აგრეთვე რუსული, უკრაინული ხალხური სიმღერები. ანსამბლის წარმატებაში უდიდესი წვლილი შეჰქონდა ბატონ კოტეს.

1976 წელს გალის რაიონის 120 კაციანი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელები: აკ. ხარებავა, ვ. ოკუჯავა, ქორეოგრაფები ზ. ასათიანი, ა. სანიკიძე) მიწვეული იყო ქ. მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ეს ის პერიოდი, როცა ბატონ კოტეს ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს — მას მოულოდნელად გარდაეცვალა უფროსი ქალიშვილი ლიანა. მგლოვიარე კაცს ვერავინ შეჰბედა თხოვნა წამოსულიყო გასტროლებზე. არა და ბატონი კოტე ანსამბლის სული და გული, წამყვანი სოლისტი იყო, გამორჩეული თავისი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობითა და კულტურით, განუმეორებელი მანერით. მისი ხასიათის მთავარი შტრიხი პირადულზე მაღლა საერთო საქმის დაყენება იყო — ეს მგლოვიარე კაცი თვითონ მივიდა და განაცხადა, რომ მისმა უბედურებამ ხელი არ უნდა შეუშალოს საერთო საქმეს ... მოსკოვში ანსამბლს დიდი წარმატება ხვდა წილად, თითოეული წევრი დაჯილდოვდა ყიურის მიერ დანესებული სპეციალური პრიზით, ხოლო „ჩელას“ შესრულებისათვის განსაკუთრებული ჯილდო გადაეცათ კ. ჩიკვატიას და ა. ხარებავას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კონცერტს ესწრებოდნენ უცხოელებიც. კონცერტის დამთავრების შემდეგ უცხოელი სტუმრები სცენაზე ამოვიდნენ და სურათები გადაგვიღეს, ხოლო ბატონ აკაკის და ბატონ კოტეს, როგორც სიმღერის საუკეთესო შემსრულებლებს, ცალკე გადაუღეს სურათები.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ღირსეულად დააფასა ბატონ კოტე ჩიკვატიას ღვაწლი და მას აფხაზეთის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა.

1997 წელს აფხაზეთის კულტურის სამინისტრომ (მინისტრი სვეტლანა ქეცბა) და გალის რაიონის კულტურის განყოფილებამ (გამგე ლუარა ჩაჩიბაია) უკვე დევნილობაში,

ქალაქ თბილისში, კინოს სახლის მცირე დარბაზში აღნიშნა ჭეშმარიტი მამულიშვილის კონსტანტინე ჩიკვატიას 90-ე წლის იუბილე, რომელშიც მონაწილეობდნენ ანსამბლები „ფაზისი“, „ჩაკრულო“ (ხელმძღვანელი ჯუმბერ ყოლბაია), „მაფშალია“ (ხელმძღვანელი ნანა ბოჯგუა), ძმები ოკუჯავები. ანსამბლში ბატონი კოტეს უშუალო პარტნიორმა ქალბატონმა ნინა კვეკვესკირმა საღამოზე გაიხსენა: „...ერთ-ერთი კონცერტის დროს, რომელიც სენაკში ტარდებოდა (1938 წ.) კოტეს მიერ შესრულებული სიმღერით აღფრთოვანებული შალვა დადიანი ფეხზე წამომდგარი უკრავდა ტაშს, ხოლო ცნობილი ლოტბარი რემა შელეგია სცენაზე ამოვიდა და სათითაოდ გადაგვეხვია ყველას“. კოტე ჩიკვატიას ხსოვნის საღამოს დასასრულს, კინოს სახლში აჩვენეს დოკუმენტური ფილმი „კოლხური სიუიტი“. ეს საღამო იყო უდიდესი პატივისცემის გამოხატვა ხელოვანისადმი და წარსულის ტკივილიანი გახსენება გალელებისათვის.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ მინდა უღრმესი პატივისცემა გამოვხატო სულმნათი ხელოვანის მიმართ, ქედი მოვიხარო მისი შემოქმედების წინაშე და მაღლიერების გრძნობით მოვიგონო ის ლამაზი წლები, რომლებიც გალის რაიონულ ანსამბლთან მაკავშირებდა.

ლუარა ჩაჩიბაია
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის თანაშემწე

ფაილი

ბახსენება

ბატონი კოტე ჩიკვატიას, ჩემთვის კი — კოტე ბიძიას გახსენება, ადამიანისა, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობით ემსახურა ქვეყანასა და ხალხს, მოგონებები მის ბრწყინვალე ოჯახზე ძალიან ამაღლებულ გრძნობებთან და ცრემლნარევ სიხარულთანაა დაკავშირებული.

ამბობენ, — შემოქმედმა ღმერთმა ადამიანს სულთან ერთად პოეზიისა და მუსიკის სიყვარულიც ჩაჰბერაო, ეს სწორედ რომ ბატონ კოტეზეა ნათქვამი. ბუნებით უნიკალური ხმით დაჯილდოებული, უღარესად ნიჭიერი ხელოვანი ასევე უნიკალურად მღეროდა მის მიერ დამუშავებულ სიმღერებს. მან მარტო მღერული და აფხაზური კი არა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ფოლკლორი იცოდა. ის იყო დაუპრეტელი ენერჯის, ყველასათვის საიმედოდ გვერდში მდგომი და დასაყრდენი, სიკეთის უშურველად გამცემი, დადებითი აურის მქონე ადამიანი. უყვარდა და ეძებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებსაც მთელი მონდომებით უკვალავდა გზას ხელოვნებისაკენ.

სიმართლე და პრინციპულობა, კრისტალური პატიოსნება, თვითნაბადი ხალასი ნიჭი და უსაზღვრო სიყვარული ხელოვნებისა და სპორტისადმი, ოჯახის, ქვეყნის, მეგობრების უანგარო ერთგულება — ამ თვისებებით დაჯილდოებულ პიროვნებად იცნობდა მას ყველა, ვინც მას ერთხელ მაინც შეხვედრია.

ეს თვისებები ბატონ კოტეს ადრეულ ახალგაზრდობაშიც იმდენად ნათლად გამოხატული ჰქონია, რომ ჩემს ბაბუას, იმდროისათვის მეტად განათლებულ ადამიანს — პლატონ ჭანტურიას შვილივით შეყვარებია, თავისი საკარმიდამო ფართობიდან უანგაროდ გამოუყვია მიწის ნაკვეთი და ხელი გაუმართავს, რათა მის გვერდით დასახლებულიყო. ასე გვერდი-გვერდ, როგორც ნათესავებმა, ვიცხოვრეთ ათეული წლები და

ბაბუას ყოველთვის ეამაყებოდა ბატონ კოტეს მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზა. მე კი, გარდა მეზობლობისა, მისი უფროსი ქალიშვილის — ლიას თანაკლასელი და განუყრელი მეგობარი ვიყავი. ამდენად, ძალიან ბევრი კარგი და სასიხარულო ეპიზოდები მაქვს მოსაგონარი, ვინაიდან ხშირად ვხდებოდი მონამე იმ ბრწყინვალე შემოქმედებითი საღამოებისა, რომელიც ამ ოჯახში იმართებოდა ბატონების კოტე ჩიკვატიასა და აკაკი ხარებავას ხელმძღვანელობით.

აკაკი დიდხანს ცხოვრობდა კოტეს ოჯახში. ისინი იმდენად განუყრელი იყვნენ, რომ მე ძმები მეგონა და მშობლებს ვეკითხებოდი, რატომ იყო კოტე ბიძია ჩიკვატია, ხოლო აკაკი ბიძია — ხარებავა.

ძლიერია და დაუვინყარი ბავშვობის შთაბეჭდილებები. ასეთ მოგონებად შემორჩა ჩემს მეხსიერებას ჩიკვატიების ოჯახი, რომელიც ხელოვნების მუშაკთა „შტაბი“ იყო იმდროინდელ გაღმამში. რაიონში ხშირი იყო გამორჩეული კოლექტივების სტუმრობა დედაქალაქიდან, რომლებსაც აუცილებლად ბატონი კოტეს ოჯახში მასპინძლობდნენ. ხალხმრავლობის გამო ამ ულამაზეს ეზოში გაშლილ სუფრებს ჩვენ, ბავშვები, სიხარულითა და სიამაყით ვემსახურებოდით და დიდ სიამოვნებას ვიღებდით. ან როგორ შეიძლება დაივიწყო აკაკი ხორავას გაცილება ალბანეთში ფილმის გადაღებაზე ბატონი კოტეს ოჯახიდან. ასეთი ხალხის ხილვა, რა თქმა უნდა, უდიდესი სიხარული იყო მთელი უბნისათვის.

ბატონ კოტეს შესანიშნავი ოჯახი ჰყავდა. დედამისი, ნატაშა ბებია უბრწყინვალესი პიროვნება, ყველას ქომაგი და მომფერებელი, ყველა ბავშვის ბებია იყო. იმდენ სიტბოს გასცემდა, მთელი უბნის ბავშვები თითქმის ყოველთვის მათ ოჯახში ვიკრიბებოდით სათამაშოდ. არ მახსოვს, ამდენი ბავშვის ყრიამულს ის შეენუხებინოს და დაეცაცხანოს ჩვენთვის, პირიქით, ყოველთვის კეთილი ღიმილით, ათასგვარი ნუგბარით გვიმასპინძლდებოდა და გვეფერებოდა. ბატონი კოტეს მეუღლე

— სულიკო დეიდა მეტად ლამაზი, სათნო, კეთილშობილი ადამიანი იყო. ის იყო სამაგალითო მეუღლე, რძალი და დედა. სულიკო დეიდასა და ნატაშა ბებიას რძალ-დედამთილობა ბევრ დედა-შვილს შეეშურებოდა. სულიკოსა და კოტეს ურთიერთობა კი . . . ისინი ნამდვილად ღირსეულ მეუღლეობას უწევდნენ ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთისათვის იყვნენ დაბადებულნი, ადამიანური თვისებებით ავსებდნენ ერთმანეთს. ამიტომაც ვერ გაძლეს უერთმანეთოდ. კოტე ბიძიას გარდაცვალების შემდეგ სულიკო დეიდაც მალევე წავიდა იმქვეყნად, რომ საყვარელ ადამიანთან ერთად ყოფილიყო მუდმივ სასუფეველში.

ბატონი კოტეს ღვანლი მარტო ხელოვნებისადმი სიყვარულით არ ამოიწურება, მას არანაკლები დამსახურება ჰქონდა საცხენოსნო სპორტის განვითარებაში. ჩემში ყოველთვის გაოცებას იწვევდა, საცხენოსნო სპორტული სკოლის წარმატებული ხელმძღვანელობის პერიოდში, როგორ პოულობდა დროს ხალხური შემოქმედებისათვის პრაქტიკული საქმიანობით დატვირთული ეს ხანდაზმული ადამიანი?!

მაგრამ ბატონი კოტე ჩიკვატია შეუძლებელს აკეთებდა. ჩემს მეხსიერებას იგი შემორჩა, როგორც ნამდვილი საზოგადო მოღვაწე, ბრწყინვალე მოქალაქე, მგზნებარე პატრიოტი, სტუმართმოყვარე, შესანიშნავი თამადა და უერთგულესი მეგობარი.

ლუჩიკო ჩხეტია

ჩიკვატიების მეზობელი და ოჯახის მეგობარი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი



სამაგალითო ადამიანი

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა მისაბამ მაგალითად რჩება თაობებს. ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი კოტე ჩიკვატია. მტკიცე ზნეობრივი კატეგორიები, მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი სიყვარული ხელოვნებისა და სპორტისადმი, — აი, ის უმთავრესი თვისებები, რამაც განაპირობა ბატონი კოტესადმი გალის რაიონისა და აფხაზეთის მთელი მოსახლეობის დიდი სიყვარული.

ნათქვამია, ადამიანის ცხოვრება არა მისი განვლილი წლებით, არამედ მისი შინაარსით განიზომებაო. კოტე ჩიკვატიას ცხოვრება სწორედ მრავალმხრივი და საინტერესო შინაარსით იყო აღსავსე. მისი მრავალწლიანი შრომა მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა დააყენო პირადულზე მაღლა სახალხო საქმე და როგორ უნდა შექმნა შენი თავი შენ თავითონ. თავისი ქცევითა და საქმით კოტემ მრავალ ახალგაზრდას გაუკვალა ცხოვრების სწორი გზა.

ეს თვისებები გამორჩეულ ადამიანთა ხვედრია, რაც ბატონი კოტეს ღმერთისგან მოჭარბებულად ჰქონდა ბოძებული და რაც მნიშვნელოვანს ხდიდა არა მარტო მის საქმიანობას, არამედ განსაკუთრებულ მაგალითს აძლევდა მის გარშემო მყოფ ადამიანებსაც. მისთვის არ არსებობდა უმნიშვნელო საქმე, დიდსა თუ მცირეში იგი მთელ თავის ძალას, ენერგიასა და გამოცდილებას აქსოვდა. საოცრად განონასწორებულ პიროვნებას, ჰქონდა ნებისმიერი მოვლენის ობიექტური შეფასების, მოვლენების მისთვის ჩვეული სიღინჯით გადაწყვეტის უნარი. ამ თვისებების გამო ბატონი კოტე ყველას უყვარდა იქ, სადაც კი უმუშავია, ხოლო რიგითი თუ ხელმძღვანელი მუშაკები განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ. უმცროსი თაობის წარმომადგენლებთან მას საოცარი მამამშვილური დამოკიდებულება ჰქონდა, თავის ცოდნასა და პრაქტიკულ

გამოცდილებას უანგაროდ გადასცემდა, ხელს უწყობდა მათში პროფესიული თვისებების ჩამოყალიბებას.

ბატონ კოტეს ყველა იცნობდა, როგორც ხალხურ სიმღერასა და საცხენოსნო სპორტზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს. როგორც სპორტული სკოლის დირექტორი, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცხენოსნობაში (მარულა, ისინდი, ცხენბურთი და ა.შ) და დიდი წვლილი მიუძღვოდა რაიონში სპორტის ამ სახეობის განვითარებაში. მისი მუშაობის პერიოდში არა ერთი ახალგაზრდა დაეუფლა სპორტის ამ სახეობას და დიდ წარმატებებს მიაღწია საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

1931 წელს გალში ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსაბლი, რომლის უცვლელი წევრი იყო კოტე ჩიკვატია, მომდევნო წლებში კი – მისი ხელმძღვანელი. ანსამბლი წარმატებით გამოდიოდა როგორც რაიონის, ასევე აფხაზეთისა და საქართველოს მასშტაბით მონყობილ დათვალიერებებში, ოლიმპიადებსა თუ დეკადებში და ყოველთვის საზოგადოების დიდ მონონებას იმსახურებდა. მახსოვს, ანსამბლმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია 70-იან წლებში. 1970 წელს ანსამბლის მოღვაწეობაზე დოკუმენტური ფილმი – „კოლხური სიუიტა“ გადაიღეს, რაშიც ვალის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას დიდი წვლილი მიუძღვოდა (საქართველოს კომპარტიის ვალის რაიონის პირველი მდივანი ამირან ქავთარაძე). იგი სატელევიზიო ეკრანზე 1972 წელს გამოვიდა. ისიც კარგად მახსოვს, თუ როგორი ენთუზიაზმით უყურებდნენ და როგორ მაღალ შეფასებას აძლევდნენ ადამიანები ფილმში მონაწილეთა მაღალ პროფესიონალიზმს. ამ ფილმში მონაწილეობამ განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ბატონ კოტე ჩიკვატიას, რომელმაც ყველას დაამახსოვრა თავი როგორც ბრწყინვალე მომღერალმა და მარებელისა და თამადის როლის განმასახიერებელმა.

არ შეიძლება არ გავიხსენო ერთი მომენტიც. 1972 წელს საბჭოთა არმიის რიგებში ვმსახურობდი ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. შემოდგომის დღეები იყო. საჭაერო თავდაცვის მართვის ცენტრში ვმორიგეობდი. მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. ზარი შტაბიდან იყო. ყურმილში გაისმა სიტყვები – «Мурман, по телевизору показывают твой район, приходи быстро». როდესაც შტაბში მივედი, ბატალიონის მთელი შემადგენლობა ხელმძღვანელობასთან ერთად „ლენკომნატაში“ სულგანაბული უყურებდა ტელევიზორს, „კოლხურ სიუიტას“ უჩვენებდნენ. ჩემთვის საპატიო ადგილი დაეტოვებინათ. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია. ახალგაზრდები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მოხიბლულები იყვნენ ქართული ადათ-წესებით, სიმღერითა და ცეკვით. ამის შემდეგ სამხედრო ნაწილში ხშირად ახსენებდნენ ბატონებს აკაკი ხარებავასა და კოტე ჩიკვატიას, როგორც მაღალი დონის შემსრულებლებს. აი, ასე გაიცნეს ყაბარდო-ბალყარეთში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან საბჭოთა არმიის რიგებში მომსახურე ჯარისკაცებმა ვალის რაიონი. ამ ამბით მოგვირილი უზომო აღფრთოვანება ძალიან დიდხანს გამყვა.

ვფიქრობ, ასეთი ადამიანები დიდხანს უნდა ცხოვრობდნენ, რათა მომავალმა თაობებმა უკეთ ისწავლონ და შეიგრძნონ, როგორ უნდა გიყვარდეს, ზრუნავდე, შრომობდე და იხარჯებოდე შენი სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მურმან ჭელია

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

მეორე

კონსტანტინე ჩიკვატია იყო პიროვნება, ვისაც თავისი ცხოვრების წესით, მოღვაწეობით, საქვეყნო საქმისადმი დამოკიდებულებით თავისი წვლილი შეჰქონდა საზოგადოების ეროვნული სახის შენარჩუნებაში.

კოტე (ასე იცნობდნენ მას სამურზაყანოსა და მთელ საქართველოში) გახლდათ ცნობილი ლოტბარი. თავის მეგობართან, აკაკი ხარებავასთან ერთად მან დიდი ამაგი დასდო ქართულ ხალხურ მუსიკალურ ხელოვნებას. იგი აქტიურად მუშაობდა ქართული სამუსიკო საგანძურის სისუფთავის შენარჩუნებისათვის, მისი ახალ-ახალი ვარიანტებით გამდიდრებისათვის. ასევე ძალიან დიდია მისი ღვაწლი გალის რაიონსა და მთლიანად აფხაზეთში ხალხური თვითმოქმედი კოლექტივების ჩამოყალიბების საქმეში. თითქოს, დღესაც ჩამესმის მისი განუმეორებელი, სალაპარაკოდ, თითქოს, ხრინწიანი, მაგრამ არაჩვეულებრივად გულში ჩამწდომი წერიალა სასიმღერო ხმა.

კოტე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ქართულ-აფხაზური წეს-ჩვეულებების, საუკუნოვანი ტრადიციების დაცვა-გაგრძელებას. თვითონაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ წესებს მტკიცედ იცავდა, სხვებისაგანაც მოითხოვდა იგივეს. სიკეთითა და გულითადობით გამორჩეული ეს ადამიანი ძალიან მკაცრი, შეუვალი და პირდაპირ მთქმელი იყო, როცა ვინმეში ამ საკითხებისადმი უპატივცემლობას შეამჩნევდა. ამიტომაც შექმნა მან თავის მეუღლესთან, ქალბატონ სულიკოსთან ერთად შესანიშნავი ოჯახი და სანაქებო შვილები აღუზარდა ქვეყანას. მისი შთამომავლობა ღირსეულად აგრძელებს ცნობილი მამისა და ბაბუის ცხოვრებისეულ პრინციპებს.

გულწრფელად ვიტყვი – დიდ სიამოვნებას მანიჭებს ღირსეულ მამულიშვილსა და სახელოვან ხალხურ მომღერალზე კოტე ჩიკვატიანზე საუბარი, რადგან ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით.

ტერენტი ხუბუა
მეგობარი

ქვეყნის ისტორიას ქმნიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება და საზოგადოებრივი საქმიანობა სამაგალითოა მომავალი თაობებისათვის. ჩვეულებრივ, ასეთი პიროვნებები იზრდებიან ღირსეულ ოჯახებში და ამ ღირსებას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უფრთხილდებიან. ჩემთვის სამაგალითო და მისაბაძი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება ბატონი კოტე ჩიკვატია, რომელსაც უდიდესი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა მთელს აფხაზეთში და, განსაკუთრებით, მის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში – სამურზაყანოში. კარგა ხანი გავიდა ბატონი კოტეს ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, მაგრამ იმ წრეში, რომელშიც ვტრიალებ, მას ხშირად იხსენებენ. დაკვირვებული ვარ, ეს მხოლოდ იმის გამო არ ხდება, რომ იგი შესანიშნავი მომღერალი და ასევე არაჩვეულებრივი მოჯირითე იყო, არამედ, უწინარესად, მისი პიროვნული ხიბლისა და კიდევ იმის გამო, რომ ვეებერთელა შინაგანი კულტურის მატარებელი, ასაკისა და მდგომარეობის განურჩევლად, ყველასთან საოცრად ზრდილი იყო. მას გამოარჩევდა საღი გონება, გამჭრიახობა, ხასიათის სიმტკიცე, გულისხმიერება, გულ-მართლობა, ჭირში და ლხინში თანადგომა, უბრალოება; იყო მაღალი ერუდიციის, კეთილშობილური თვისებების მქონე პიროვნება. ეს ღვთისნიერი ადამიანი ყველგან და ყოველთვის უხვ სიტბოსა და სიკეთეს აფრქვევდა, იყო ახალგაზრდობის დიდი მეგობარი, მხარდამჭერი და მოამაგე.

ერთი სიტყვით, ბატონი კოტე დიდი კაცი იყო, ჩემი აზრით კი, დღესაც არის, რადგან მას არასოდეს დაივიწყებენ, ვიდრე ცოცხალი იქნება ერთი ადამიანი მაინც, ვისაც მასთან გულწრფელი ურთიერთობის ბედნიერება ჰქონდა.

მის გახსენებას მონატრების ელფერიც დაჰკრავს. ახლობელთა წრეში ეს სავსებით ბუნებრივია, საზოგადოდ კი ...

როცა მასშტაბური და მოაზროვნე ადამიანების დეფიციტი შეიგრძნობა, ასეთი ნოსტალგია უკვე საზოგადოებაში იჩენს თავს.

ბრძენი კაცი – კოტე ჩიკვატია ძალიან გვაკლია დღესაც. მით უმეტეს, იმ პრობლემების ფონზე, რაც დღევანდელ სრულიად საქართველოსა და, მასთან ერთად, აფხაზეთშია. ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ბატონი კოტე აფხაზეთში პირადად იცნობდა ყველას, ვისაც ჭკუა ეკითხებოდა და ვინც მოფერებას საჭიროებდა. მან იცოდა ყველა გავლენიანი უხუცესი აფხაზის გვარ-სახელი, მათი ოჯახების იმდროინდელი მდგომარეობა და მათი სატელეფონო ნომრებიც კი. ბევრჯერ დაურეკავს, მოუკითხავს და მოფერებია მათ. დღესაც ხშირად გაიგონებთ, რომ ბატონი კოტეს კეთილშობილური, პატივისცემით აღსავსე ურთიერთობები აფხაზეთთან მნიშვნელოვნად განაპირობებდა ქართველთა და აფხაზთა ნაღდ ძმობასა და მეგობრობას.

მოგელი ზუხბაია

მე

ჩემი ბალები

კილომოქცევამ კოლხურმა გათქვა
სადაურობა მომსკდარ გრიგალის:
თვით ელეოსი ურწევდა აკვანს
ფრთებს უსწორებდა ლაჟვარდი გალის.

დაძრა ზმანება ნეტარი დროის,
ყოჟღელგაღმიდან, ნიშონს იქიდან,
აუმღვრეველი, როგორც მთის ბროლი,
მაგრამ ჟანმოკლე, როგორც ფსიქიდა.

ნატვრათა მხარე! ხვატმა დააშრო
ნალკოტის ცისფრად მფეთქავი ძარღვი,
შენი ზენების ზურმუხტ ვარაყში
არ ზის კამკამი ერისწყლის ტალღის.

მაგრამ ნაშლილი სიღრმის თანადი
არ იშლის ლივლივს ხსოვნის სამყარო
ისე მძლავრია მისი ნაკადი,
ისე უშრეტი – სათავე წყარო.

ხეს საჩრდილობელს მზერა რომ ეძებს,
იქ უბილიკო ტყე იდგა ერთხანს,
ოთხი მდუმარე ბორცვიდან ერთზე
პირველ ბინადარს სძინავს თელეხანს.

ოქროს, თვითნაბადს, იხუტებს მინა
შეუღვეველი თითქოს ჩვილია,
მისმა ფესვებმა ქვეყანას მისცა
ტიტანი წყვილი – პეტრე, ილია.

სხვაგვარი მოსავთ ღრუბლებს პორფილი,
მწუხრის ზარები თავისას სწუხან,
ბაგემლიმარი და ოქროპირი
დრო-ჟამს დასცინის გიორგი – მუხა.

კაცით კაცამდე რაც სავალი ძევს
(არ მოფენილი, ვაგლახ იებით),
როგორც ეკუთვნის ეს ადამის ძეს,
განვლო პლეადამ ქვაჩახიების.

ვინც სოფლის ღალა სრულად გაიღო,
თემის სატკივარს მოდებულ გულით,
მათში პირველი თუ ვინმე იყო –
კოტე – მხედარი, კოტე – ბულბული.

დაკვესა ელვა ზნეობის რამჟამ,
უღირს ვნებათა მსხვერპლი გამოლტა,
რისხვის ვეზუვად მუხტავდნენ დარბაზს
კუჭუ – უსუპი, საფარი – შოთა.

ანყვეტილ ლერწამს ლიანა ჰგავდა,
დამწყვედულ სამუმს–კარლოს ხანჯლური,
ხუტა კამარას ვეფხვისას კრავდა
და ტერფსიქორა ინვოდა შურით.

ბოჩიას ხიბლის დაეგო მახე,
ვინც პირუეტი იხილა მისი.
თაღებს აქცევდა მეხივით მჭახე
გუთიკოს „ბრავო“, პუბლიკის — „ბისი“.

რჩეულთა კრებულს ამკობდა ლერი,
ოქროს ქანდაში ჩასმულ აღმასად:
რომც ჰგულვებოდა მოშურნე-მტერი,
სიძულვილს მადლით უზღავდა მასაც.

იგორის ღვთიურ ხმით მონადენი
რომ კაეშანი გულს გადაყროდა,
კმაროდა ვენეს თვალთა ნათელი,
ნოდარის ღიმის შუქი კმაროდა.

წყვილთა ქროლაში უცხო, მესამე
ციური სწრაფვის ხვენდა იდეალს,
ზრახვათა ქრობის უტყვი მონამე
დაუვიწყარი ბალის კიდვა.

იქ კენტმა სულმა აბეზარ სპლინზე
თავისთავშივე ჰპოვა მძლეობა,
უარყო კერპი და ასპარეზი
და არა ბრძოლის მოვალეობა.

...

გულში მბრუნავო ზვირთო ერისწყლის,
სულში მბორგავო ნიავო გალის,
თქვენში მარხია აზრი დღეისის
და მინავლული იმედი ხვალის.

გურამ სექანია

კონსტანტინე ჩიკვატიას რეპერტუარის არასრული სია

„მარბელი“
„ჩელა“
„მეურემე“
„მა დო ჩქიმი არაბა“
„სისა ტურა“
„ვოჯანუდი ჩქიმ ჯარგვალს“
„კუჩხი ბედინერი“
„ოდოია“
„ჩაგუნა“
„ჰარირა“
„ჰოუ ნანა“
„თიში იღბალი მილუდუო“
„სი ქოული ბატა“
„ნადური“ (მეგრული)
„ვაი შური საყვარელი“
„ასე ჩონგური ქობთქუათ“
„ფაცხა მიორს მარგალიში“
„გეფშვათ ღვინი (თამადა)“
„მა სი ვარდი“
„ვახტანგური“ (ლილინი)
„ვარადა“
„აზარი“ (აფხაზური)
„აყიში“ (აფხაზური)
„დაჭრილის სიმღერა“ (აფხაზური)
„გაფრინდი შავო მერცხალო“
„სიმღერა რუსთაველზე“
„ხასანბეგურა“
„ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“
„სიმღერა მეგობრობაზე“
„სიმღერა მშვიდობაზე“
„სიმღერა განახლებულ შრომაზე“

ბალის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის
ჩანაწერები კონსტანტინე ჩიკვატიას მონაწილეობით
საპარტოველოს საზოგადოებრივი გაუწყუბლოვის ფონოარქივი

1. MD №28 ფირის №24697 „სიმღერა საბჭოთა ხალხის
მეგობრობაზე“ — 1954 წ.
2. MD № 33 ფირის №48466 „კუჩხი ბედინერი“ — 1970წ.
ფირის № 48468 „სიმღერა განახლებულ შრომაზე“ — 1970წ.
3. MD № 34 ფირის №24002 „ვახტანგური“ (ლილინი) - 1970წ.
ფირის № 48467 „ჩელა“ -1970წ.
ფირის № 48469 „სიმღერა მეგობრობაზე“ - 1970წ.
ფირის № 877 „მარბელი“ (მოსკოვის ჩანაწერი).
ფირის № 854 „სიმღერა რუსთაველზე“ (მოსკოვის ჩანაწერი)
4. დოკუმენტური ფილმი - „კოლხური სიუიტა“ - 1970წ.

ლიტერატურა კონსტანტინე ჩიკვატიას შესახებ

1. ზუსბაია ვალერიან – „გალის კოლორიტები“, გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, თბილისი, 1997 წ.
2. სეძენია გურამ – „პლეადა“, გაზეთი „გალი“, 1999 წ.
3. აკიშბაია ოთარ – „გალი“. თბილისი, 2001 წ.
4. ზაქარაია სიმონ – „პროფესიონალი მომღერალი“, გაზეთი „დიოსკურია“, თბილისი, 2007წ.
5. აკიშბაია ოთარ – „გალი და გალელები“, თბილისი, 2009 წ.
6. გელანტია რაფიელ – „სამურზაყანოს ბულბული“. გაზეთი „ილორი“, თბილისი, 2009 წ.




კონსტანტინე (კოტე) ჩიკვატია




კავკასიის დამცველთა ერთი ჯგუფი.
მარცხნიდან მესამე დგას კოტე ჩიკვატია.



გალის რაიონის აღმასკომის
კულტურის განყოფილების
სიგელი



გალის რაიონის კულტურის
სახლის სიგელი



ПАРТИЯ —
УМ, ЧЕСТЬ И СОВЕСТЬ
НАШЕЙ ЭПОХИ
В. И. Железа

აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი



სარჩევი

საუკუნეებიდან წამოსული წინაპართა ხმები	7
ჩიკვატიათა გვარის ისტორიიდან	10
კონსტანტინე ჩიკვატიას ოჯახის გენეალოგია	12
ცოტა რამ ბიოგრაფიიდან	13
რაც მახსენდება	16
მეგრული სიმღერის მშვენიება	27
სამურზაყანოს ბულბული	30
ღირსეული ადამიანის გახსენება	35
პროფესიონალი მომღერალი	37
გალის კოლორიტები	40
სიცოცხლე ეროვნული საქმის სამსახურში	41
დაუვინყარი მოგონება	44
ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი	46
შტრიხები პორტრეტისათვის	49
ბედნიერი შემთხვევა	51
ქვეყნის ჭეშმარიტი მსახური	54
კვალი ნათელი	58
კოლორიტული ადამიანი	60
მოგონებები კონსტანტინე ჩიკვატიაზე	63
გახსენება	66
სამაგალითო ადამიანი	69
ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით	72
მისაბაძი ადამიანი	73
ჩემი გალელეები	75
ფოტო ალბომი	81